# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი-პარასკევი, 10-11 სექტემბერი. 2020 წ. №112 (9038) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## უმეთაურო, გალაყებული „გაერთიანებული ოპოზიცია“ ძალად „ახუტებს“ ბიძინა ივანიშვილს ერთპარტიულ პარლამენტს!




3

## შესაძლოა, საკონსტიტუციო სასამართლოში „ნაცმოძრაობის“ აკრძალვის სარჩელი შევიდეს

2

## ზურაბიშვილი რუსეთს პროვოკაციაში ადანაშაულებს!



**რუსულ მედიაში საქართველოსა და მისი სტრატეგიული პარტნიორების აშშ-სა და ევროკავშირის შესახებ მორიგი ფეიკნიუსი გავრცელდა,** — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის განცხადებაშია აღნიშნული, რომელსაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

განცხადების თანახმად, საუბარია პორტალ gosnovosti-ზე განთავსებულ სტატიაზე — „საქართველო რუსეთის მიმართ პროვოკაციებით სარგებელს ნახულობს“.

**„სტატიაში მოყვანილია არარსებული და გამოგონილი წერილი, რომელიც თითქოს საქართველოს პრეზიდენტს მისწერა ევროპული ცხოვრების წესის მხარდამჭერი კომისიის ვიცე-პრეზიდენტმა მარგარიტის შინასმა.**

**გაყალბებულ წერილში მარგარიტის შინასი მადლობას უხდის საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს ტერიტორიაზე ახლო აღმოსავლეთიდან ლტოლვილ პირთა ბანაკის შექმნის ინიციატივის მხარდაჭერისთვის. აღმაშფოთებელია რუსული მხარის კიდევ ერთი მცდელობა, მოხდეს საქართველოს ხელისუფლებისა და სტრატეგიულ პარტნიორებთან მისი ურთიერთობების საერთაშორისო დონეზე დისკრედიტაცია.**

**ცრუ ინფორმაციის გავრცელებით რუსული მხარე ასევე ცდილობს, საქართველოს მოსახლეობაში გააჩინოს უნდობლობა ხელისუფლების მიმართ, მასში გააღვივოს ანტიდასავლური განწყობები და შექმნას ცრუ საფრთხის მოლოდინი მეგობარი და მეზობელი ქვეყნების მხრიდან. მოვუწოდებ ჩვენს პარტნიორებს ევროკავშირში, მკაცრად დაგმონ რუსული მხარის აღნიშნული პროვოკაციული მცდელობები, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების განვითარებისათვის ხელის შეშლას“,** — ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში.



## ომის შემდეგ რომ გამოსულიყო ჰიტლერი და მოებოდიშებინა, დაახლოებით ისეთივეა, ამ ბოროტი მასხარის ბოდიში

3

## დონალდ ტრამპი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წარადგინეს



**აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ნომინანტია.** ტრამპის ნომინაცია ნობელის კომიტეტს ნორვეგიის პარლამენტის მეოთხე მოწვევის დეპუტატმა ქრისტიან ტიბრინგ-გედემ წარუდგინა.

**„ტრამპმა საკვანძო როლი ითამაშა ისრაელსა და არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ამ შეთანხმებამ შესაძლოა გადამწყვეტი როლი ითამაშოს ახლო აღმოსავლეთში თანამშრომლობისა და კეთილდღეობის დამკვიდრებაში“,** — აცხადებს ნორვეგიელი დეპუტატი. ნობელის პრემიის ჯილდო ხუთკაციანი კომიტეტის გადაწყვეტილებით გაიცემა, რომელსაც ნორვეგიის პარლამენტი ირჩევს.

# კორონავირუსი სერიოზულად გვიტევს!

### სკოლებში საზეიმო ღონისძიებების ჩატარება აიკრძალა

**უწყებათაშორისმა საბჭომ სკოლებში საზეიმო ღონისძიებების გაუქმების რეკომენდაცია გასცა,** — ამის შესახებ მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განაცხადა.

**„რეკომენდაცია გასცა უწყებათაშორისმა საბჭომ, რომ უსაფრთხოებიდან გამომდინარე სკოლებში საზეიმო ღონისძიებები გაუქმდეს“,** — განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

### ყველაზე ცხელ წერტილად რჩება აჭარა!

**ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით, ამ დროისთვის ყველაზე ცხელ წერტილად აჭარა რჩება,** — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ, გუშინ საკორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

**„მოგეხსენებათ, ყველაზე ცხელ წერტილად რჩება აჭარა, სადაც ინციდენტობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი გვაქვს, 100 000 მოსახლეზე 47.8. აჭარაში 25 ახალი შემთხვევიდან შვიდი არის ხოფის კლასტერი, ორი თანამშრომელი და ხუთი ოჯახის წევრი, ასევე სამი იუსტიციის სახლის შემთხვევა გვაქვს თავისი ოჯახის წევრებით, ერთი სამშობიარო სახლის ექთანი, ერთი გარემოს დაცვის თანამშრომელი, ორი „ორბის“ თანამშრომელი, ერთი სასაზღვრო პოლიციის, ერთი კლინიკა „ბრადერსის“ სანიტარი“...**

ამასთან, გამყრელიძის განცხადებით, ბათუმში ათი შემთხვევის ინფიცირების წყარო ჯერ უცნობია.




### პრევენციის მიზნით რეგულაციების აღსრულების კონტროლი გამკაცრდა

შესაბამისი უწყებები კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული რეგულაციების აღსრულებას მკაცრად გააკონტროლებენ. ამის შესახებ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განაცხადა. ნათია მეზვრიშვილმა მოსახლეობას რეგულაციების შესრულებისკენ მოუწოდა.

**„ბუნებრივია, რეგულაციების შეუსრულებლობაზე გათვალისწინებულია შესაბამისი სანქციები. ჩვენ მოქალაქეებს მოვუწოდებთ, რომ მაქსიმალურად წესები დაიცვან, გამოიჩინონ მაღალი პასუხისმგებლობა, ატარონ პირბადეები, დაიცვან დისტანცია. აღსრულების კონტროლი მოხდება აქტიურად და შედარებით უფრო გამკაცრდება. აქტიურად იმუშავებს როგორც პოლიცია, ასევე შრომის ინსპექცია. ამიტომ კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, რომ წესები მაქსიმალურად დაიცვათ“,** — განაცხადა მეზვრიშვილმა.

იხ. 2 გვ.

# კორონავირუსი სერიოზულად გვიტევს!

(პირველი გვერდიდან) ამ დროისთვის საქართველოში კორონავირუსის 1773 შემთხვევაა დადასტურებული. განკურნებულთა რაოდენობა კი 1325-ს შეადგენს. კარანტინის რეჟიმში იმყოფება 5882 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ - 390. უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილია საქართველოს 41 მოქალაქე. კორონავირუსის შედეგად, ქვეყანაში 19 პაციენტი გარდაიცვალა.

### დღეიდან იუბილეები, ქორწილები, ქელეხები და სხვა სოციალური ღონისძიებები აიკრძალება

იუბილეები, ქორწილები, ქელეხები და სხვა სოციალური ღონისძიებები აიკრძალება. ამის შესახებ მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა ნათია მეზვრიშვილმა განაცხადა.

**„ეპიდემიოლოგიური ვითარება საკმაოდ საყურადღებოა, ამიტომ უწყებათაშორისმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ცალკეული შეზღუდვების დაწესებისა და ცალკეული რეგულაციების გამკაცრების შესახებ, რომელიც ხვალიდან შევა ძალაში. რამდენიმე დღის წინ დავაანონსეთ თეატრებთან და კინოთეატრებთან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქება. ეს ობიექტები 15 სექტემბრიდან და 1 ოქტომბრიდან უნდა გახსნილიყო, თუმცა ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე მათი გახსნა 1 თვით გადაიდო. შესაბამისად, თეატრები, კინოთეატრები და ბავშვთა გასართობი ცენტრები 1 ნოემბრიდან გაიხსნება“.**

### ბათუმის სამშობიარო სახლი დაიკეტა!

**გუშინ ბათუმის სამშობიარო სახლმა მუშაობა შეაჩერა. აქ კორონავირუსის 5 ახალი შემთხვევა დადასტურდა.** აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის რუსუდან შავიშვილის თქმით, ინფიცირებული სამედიცინო პერსონალია და სავარაუდოდ ისინი ე.წ. „დონას“ კლასტერს უკავშირდებიან.

**„შეაჩერა მუშაობა, რა თქმა უნდა. შესულია ეპიდემიოლოგთა ჯგუფი და მთლიანად იტესტება სამშობიარო. არც ერთი მელოგინე, არც ერთი ბავშვი აღარ არის უკვე სამშობიაროში,“** — ამბობს რუსუდან შავიშვილი.

აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის განმარტებით, ბათუმის სამშობიარო სახლის შემთხვევები თვითდინებით — კარვებსა და პოლიკლინიკებში მისული ადამიანების ტესტირების შედეგად გამოვლინდა.

**„ეს ადამიანები ძირითადად აღნიშნავდნენ, რომ იყვნენ „დონას“ მომხმარებლები, გაავლეთ პარალელი, როგორც იუსტიციის სახლში იყო, აქაც ისე მოხდება, გაიტესტება და პასუხიდან გამომდინარე განაგრძობს ფუნქციონირებას,“** — აღნიშნა რუსუდან შავიშვილმა.

### სასწავლო პროცესი არ გადაიდება!

ამის შესახებ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ განაცხადა. მისივე განცხადებით, სასწავლო პროცესის გადადება არ იგეგმება არც სკოლებში და არც უმაღლეს სასწავლებლებში.

**„ჩვენ სასწავლო დაწესებულებების მონიტორინგს სრულად ვახორციელებთ. დღეის მდგომარეობით, შემოწმებულია არაერთი სკოლა. აქედან 600-მა სკოლამ დააკმაყოფილა ის მოთხოვნები, რომელიც არის ჩვენ-**




**გან წარმოდგენილი, დანარჩენებს მიეცათ მითითება, თუ რა ხარვეზები უნდა იყოს გამოსასწორებელი იმისთვის, რომ სასწავლო პროცესი უსაფრთხოდ წარიმართოს. დღეის მდგომარეობით, სასწავლო პროცესის გადადება არ იგეგმება“,** — განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

### რა წესების დაცვა მოუწევთ სტუდენტებსა და ლექტორებს უნივერსიტეტებში?

**უნივერსიტეტებში თერმოსკრინინგი და პირბადის ტარება ყველასთვის აუცილებელი პირობაა,** — ამის შესახებ შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსმა ბექა ფერაძემ განაცხადა.

**„უნივერსიტეტებში თერმოსკრინინგი აუცილებელ პირობად რჩება. ასევე სავალდებულოა პირბადეების ტარება, დეზინფექციასთან დაკავშირებული პროტოკოლის შესრულება, რაც ასევე მერხების ხშირ დეზინფექციას მოიცავს. რაც შეეხება აუდიტორიაში სტუდენტების განთავსებას, ამ შემთხვევაში უნივერსიტეტებმა თვითონ უნდა შეადგინონ იმგვარი გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვითაც, ბევრი სტუდენტი ერთ სივრცეში არ განთავსდება.**

**თუმცა, თუ აუდიტორიებში არის საშუალება დაცული იყოს 1 მეტრი დისტანცია, ამ შემთხვევაში მკვეთრად გამოხატული რეკომენდაცია უნივერსიტეტისთვის არ გვიწერია“,** — განაცხადა შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსმა ბექა ფერაძემ.

ახლა კი, „2020NEWS“ გთავაზობთ იმ აუცილებელ მოთხოვნათა ჩამონათვალს, რომელიც უმაღლესი სასწავლებლებისთვის მიღებულ პროტოკოლში წერია.

**1. თერმოსკრინინგი და პირბადის ტარება ყველასთვის აუცილებელია;**

**2. უნივერსიტეტებში საიზოლაციო ოთახი მოეწყობა, სადაც ნებისმიერ პირს განათავსებენ, ვისაც რაიმე სახის სიმპტომი გამოუვლინდება;**

**3. დარეგულირდება სტუდენტების დასაშვები რაოდენობა და სალექციო საათები;**

**4. აუდიტორიებში სტუდენტებმა უნდა დაიცვან 1 მეტრის დისტანცია;**

**5. კაფეტერიებში, დახურულ სივრცეში 6 ადამიანი განთავსდება ერთ მაგიდასთან, ღია სივრცეში — 12;**

ცნობისთვის, ყველა უნივერსიტეტში პირბადის ტარება და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების დაცვა ყველა პირს მოუწევს.

* * *

დღეიდან, 18-დან 65 წლამდე კორონავირუსით ინფიცირებული პაციენტები, რომლებსაც ქრონიკული დაავადება არა აქვთ და არიან უსიმპტომოები, იმკურნალებენ სასტუმროებში.

**„საქართველოს სამ დიდ ქალაქში — თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში დღეიდან დაიწყება სასტუმროს მომსახურებით, კარანტინში პაციენტების მკურნალობა. უკვე მიმდინარეობს ბათუმის საავადმყოფოდან სასტუმროში პაციენტების გადაყვანა. ჩვენ განვსაზღვრეთ კლინიკურ ჯგუფთან ერთად ის პროტოკოლი, რის მიხედვითაც იხელმძღვანელებენ ჩვენი ექიმები. ამ შემთხვევაში იქნება შემდეგი მიდგომა — სრულწლოვანები, 65 წელზე ზემოთ პაციენტებს არ გადავიყვანთ სასტუმროებში და 18-დან 65 წლამდე ადამიანები, რომლებსაც აქვთ დადასტურებული კოვიდინფექცია და ამავდროულად, არა აქვთ არანაირად თანმხლები ქრონიკული დაავადება, შესაძლებლობა ექნებათ უსიმპტომობის შემთხვევაში მკურნალობა გაიარონ, სასტუმროების ქსელში“,** — განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

# შესაძლოა, საკონსტიტუციო სასამართლოში „ნაცმოძრაობის“ აკრძალვის სარჩელი შეიტანონ

**ოპოზიცია მიიჩნევს, რომ კორონავირუსი ხელისუფლების კარგი მოკავშირეა და მმართველი გუნდი კოვიდ-19-ისა და მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლის თემას ერთნაირად ეფარება.**

**შეიძლება თუ არა, ასეთ მძიმე თემებს ამოეფაროს რომელიმე ხელისუფლება? ამის შესახებ for.ge-ს ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი ესაუბრა.**



— ეს გაუგებარი რამეა, არსებობს საფრთხე, კოვიდიც საფრთხეა და სააკაშვილის დაბრუნებაც საფრთხეა. ხელისუფლების ვალია, ორივე საფრთხე თავიდან აგვაცილოს. თუ ხელისუფლება ამას ახერხებს, მაშინ ეს საფრთხე მისი მოკავშირე კი არ არის, არამედ — პირიქით. კოვიდის მოკავშირეები სწორედ ნაცები არიან. მათ უნდათ, ქვეყანაში კოვიდი იყოს და მთავრობა დამარცხდეს კოვიდთან ბრძოლაში. ისინი უკუღმა ატრიალებენ ლოგიკას. აშკარაა, ტვინის გამორეცხვაზე მუშაობს ოპოზიცია, გვაგიჟებენ, ყველაფერს უკუღმა ლაპარაკობენ.

**— კორონის ე.წ. პირველი ტალღა ხელისუფლებამ წარმატებით დაძლია. თუკი კორონა მეორედ შემოიჭრება, რა გარანტია გვაქვს, რომ სწორად ხელისუფლება იმოქმედებს და როგორ აისახება ეს ხალხის განწყობაზე? ხომ არ ფიქრობთ, რაც უფრო მალე ჩაატარებს ეს ხელისუფლება არჩევნებს და საარჩევნო თარიღს არ გადასწევს, მისთვის მით უფრო უკეთესია, რადგან შეიძლება ყოველდღიურად დაკარგოს ქულები?**

— არჩევნები დანიშნულია 31-ში და ამას აღარაფერი შეცვლის. რასაკვირველია, ხელისუფლებას არჩევნების გადადება არ აწყობს, მაგრამ ეს მათ ნებაზე არ არის დამოკიდებული, ეს უფრო მეტად მოქალაქეთა ქცევაზეა დამოკიდებული. თუ გავითვალისწინებთ რეკომენდაციებს, თავს შევიკავებთ მასობრივი შეკრებებისგან, ვივლით პირბადით, დავიცავთ დისტანციას, კორონავირუსი შეკავდება. ამიტომ მთავრობას კი ნუ ვთხოვთ, ცოტა ჩვენც უნდა გავიჭიროთ.

**— რაც შეეხება პოლიტიკურ განცხადებებს, აქ სრული მიშვებულობაა. სააკაშვილი ირწმუნება, კოალიციური მთავრობა არც დამჭირდება, სრული უმრავლესობით მოვალ ხელისუფლებაშიო, დავით უსუფაშვილი მიშას ჩამოსვლის ნებას რთავს, მიხედე შენს ბედსა და მომავალსო... რომელ მომავალს უნდა მიხედოს სააკაშვილმა საქართველოში?**

— წინასაარჩევნო ვითარებაა, ენას ძვალი არა აქვს და ზოგი ასე უბერავს, ზოგი — ისე, მაგრამ სააკაშვილის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად დასახელების მცდელობა ყოველ ზღვარს მიღმაა. ეს კაცი, ფაქტობრივად, უცხოელია, საქართველოს მოქალაქეობა არა აქვს, თანაც, უმძიმესი დანაშაულების გამო მსჯავრდებულია. მისი ნომერ პირველ პოლიტიკურ ფიგურად დასახელება „ნაცმოძრაობის“ მიერ საქართველოს სახელმწიფოსთვის სილის გაწნაა. ეს არის არაკონსტიტუციური და უკანონო საარჩევნო მიზანი. თუ ნაციონალები ამას გაბედავენ და გააკეთებენ, არა მგონია, ქართველი საზოგადოება ამას შეურიგდეს. არის რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის, ორგანიზაცია „დავასრულოთ“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გია იაკობაშვილია. ამდენად, ნაცების უკანონო საარჩევნო მიზნის გამო შესაძლებელია, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შევიდეს, რათა „ნაცმოძრაობის“ პარტიას რეგისტრაცია შეუჩერდეს და აიკრძალოს. ეს უტიფრობის ყველა ზღვარს მიღმაა. სამართლებრივად გამოკვეთილია, რომ სააკაშვილს არათუ პრემიერ-მინისტრობა არ შეუძლია, არამედ საქართველოში კატეგორიულად ეკრძალება ნებისმიერი სახის პოლიტიკური საქმიანობა. როცა ასე უტიფრად თავზე დაგვახევენ ყველაფერს, ამას სამართლებრივი რეაგირებაც უნდა მოჰყვეს, რომ თავი დავიცვათ სააკაშვილისგან. ამას არც განვიხილავ, იმთავითვე ტყუილია, როგორ უნდა გახადონ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი, როცა მოქალაქეც არ არის და, რომ ჩამოვა საქართველოში, ციხეში უნდა ჩაჯდეს. ამიტომ ვერ ჩამოვა. თუ პარლამენტს მოიგებენ, მერე აპელაციას შეიტანენ, მსჯავრი გაუუქმდება სააკაშვილს და მოქალაქეობას აღუდგენენ, ეს უკვე ზღაპრებია.

**— უსუფაშვილის მოწოდებას სააკაშვილის მიმართ როგორ აღიქვამთ?**

— უსუფაშვილი უადგილოდაა დარჩენილი და საკუთარი ინტერესი ალაპარაკებს. რისი თქმა უნდა მიშას მოპატიჟებით? ის ამბობს, არც სააკაშვილი ვარგა, არც ივანიშვილი, ყველამ თავის თავს მიხედოს და ჩვენ ვართ მესამე ძალაო, ანუ ჩვენ ვართ გადამრჩენლებიო. ამას უსუფაშვილი უხერხულად აკეთებს, ამიტომ მკაფიო პოზიცია უნდა ჰქონდეთ არათუ უსუფაშვილს, არამედ ნებისმიერ ქართველს, რომ სააკაშვილის, როგორც მსჯავრდებული პირის და უცხოელის პოლიტიკაში მონაწილეობაზე. აქ ერთადერთი პოზიცია, ყველანაირი სხვა პოზიცია კანონგარეშეა. პოლიტიკურადაც მიუღებელია და სამართლებრივადაც გაუგებარია. ეს პირდაპირ უარტყამს სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტოს ლეგიტიმურობას. მაშინ არც კანონი გვქონია, არც მთავრობა, არც სასამართლო, თუ ამას დავუშვებთ. ეს სუვერენიტეტის ხელყოფაა.

**— ბოლო პერიოდში რომელიმე ძალა თუ გამოიკვეთა, რომელიც დადებითად პოზიციონირებს ელექტორატის წინაშე?**

— წვრილ-წვრილი პარტიებისგან შეიძლება რაღაც პერსპექტივა იყოს. მაგალითად, კონსერვატორებს, ზვიად ძიძიგურს, საკმაოდ ნორმალური პოზიციონირება აქვს, ასევე სოციალ-დემოკრატებს — გია ჟორჟოლიანს, რომელიც ამბობს, ხელისუფლება შეიცვალოს, ოღონდ ჯერ იმას უნდა მივაღწიოთ, ნაცები გაქრნენ ამ პოლიტიკიდან, თორემ სანამ ნაცები არიან, ხელისუფლება არც შეიცვლება და ვერც შეიცვლება. ნაცები რა სცენარის გათამაშებას ცდილობენ ახლა? ეს არის 2012 წლის საარჩევნო კამპანიის იმიტაცია: ნაცები ცდილობენ, რომ ვითომ მაშინდელი ნაცობა არის „ოცნება“, ე.ი. დამნაშავე რეჟიმი თურმე არის „ქოცები“ და თურმე ნაცები თვითონ არიან მხსნელები.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**

# უმეთაურო, გალაყებული „გაერთიანებული ოპოზიცია“ ძალად „ახუტებს“ ბიძინა ივანიშვილს ერთპარტიულ პარლამენტს!




**ამჟამად ქვეყანაში წინასაარჩევნო უჩვეულო პოლიტიკური ვითარება არის შექმნილი, რომელსაც პრეცედენტი არ გააჩნია. გაერთიანებული ოპოზიცია რისთვისაც იბრძვის და უპირისპირდება ბიძინა ივანიშვილს, ძირითადად შეეხება, მრავალპარტიული პარლამენტის, კოალიციური მთავრობისა და ქვეყანაში ახალი მმართველობის სისტემის შექმნას, რაც საოცარ გაკვირვებას იწვევს და ღია კარის მტვრევას ჰგავს, რადგან, სწორედ მმართველი პარტია და ბიძინა ივანიშვილი ყოველმხრივ მხარს უჭერენ ქვეყანაში ასეთი სახის ცვლილებებს და ქვეყნის შემდგომ დემოკრატიულ განვითარებას.**

ამის წანამძღვრებია ივანიშვილის დროს მიღებული ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, ქვეყნის საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლა, პროპორციული არჩევნების კონსტიტუციურად დაკანონება, საპარლამენტო არჩევნების ახალი წესები და სხვ.

„ქართული ოცნების“ ლიდერი მიუხედავად ამისა ბიძინა ივანიშვილი ამაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობს... ერთი კი არის, რომ ქვეყნისათვის ამ სახის რადიკალური ცვლილებები ცოტა ნაადრევად მიაჩნდა, რისთვისაც ნამდვილად ვერ გავამტყუნებთ.

რაც შეეხება ამ საკითხთან დაკავშირებულ ოპოზოციური პოლიტიკური პარტიების ვნებათაღელვას, ტელევიზიების აჟიოტაჟს, არასამთავრობოების არაადეკვატურ შეუსაბამო აქტივობას, ეს ყველაფერი ნაკლებად ასახავს რეალურ ვითარებას, რამდენადაც ქვეყანაში ამ სახის გარდაქმნები არა ოპოზიციის, არამედ მმართველი პარტიის პოლიტიკური ნება და პრიორიტეტებია, რასაც ივანიშვილი პირველ რიგში მიესალმება. ფიგურალურად რომ ვთქვათ, იგი ქვეყნის სასარგებლოდ „წაუგებელ თამაშს“ განააგრძობს, რადგან, თუ ქვეყანაში შეიქმნა მრავალპარტიული პარლამენტი და კოალიციური მთავრობის შექმნის წინაპირობა, განსაკუთრებით ურწმუნოთა გასაგონად უნდა ვთქვათ, ყველა შემთხვევაში ევროპაში მაღალი ტრიბუნიდან გაცხადებული იქნება, რომ **„ბ-მა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოში დემოკრატიას კიდევ ერთხელ გაამარჯვებინა“,** რაც მისთვის დღეს ალბათ ყველაზე მნიშნელოვანია. ხოლო, რაც შეეხება ამ ყბადაღებულ ე.წ. „არაფორმალურ მმართველობას“, რომლის დროსაც ამდენი კარგი რამ გაუკეთა ქვეყანას, (განსაკუთრებით ხელი შეუწყო დემოკრატიულ გარდაქმნებს).

ყველაზე კარგად ამას ქართველი ხალხი და ისტორია განსჯის. ამ ისტორიულ ცვლილებებს კი, ძალიან რომ უნდოდეთ, ვერც ნათელაშვილი, ვერც სამადაშვილი, ვერც გვარამია, ძმანი და დანი მათნი ვერ დაიბრალებენ, ამას მათ არავინ დაუჯერებს, რამდენადაც ამ ტიპის ადამიანებს პოლიტიკაში ძირითადად ამოძრავებს კერძო, ეგოისტური ინსტინქტები, რის გამოც საღი აზრიდან ყოველთვის შორს არიან.

მაგრამ, შემოდგომაზე, განსაკუთრებით არჩევნების წინა დღეებში ულიდერო „გაერთიანებული ოპოზიცია“ მოიქცა ისე უგუნურად, როგორც ახლა იქცევა (პარლამენტში ეპატიჟება ყოველმხრივ შერცხვენილი, კრიმინალური წარსულის მქონე პერსონებს, ისვრის უაზრო ლოზუნგებს, ეწევა პრიმიტიულ პროპაგანდას, რომლისაც არავის არ სჯერა და სხვ.), შეიძლება ასეთი გაუთვიცნობიერებელი ქმედებებით ოპოზიციამ უპრობლემოდ ისევ ერთპარტიული პარლამენტი „ჩაახუტოს“ ბიძინა ივანიშვილს. თუმცა ამითაც, ალბათ არც არაფერი არ დაშავდება და, თუ ამას ხალხის მხარდაჭერა და მოწონება ექნება, მაშინ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები არც ევროპაში და არც ამერიკაში, ხმის ამომღები არ იქნებიან და ვერ ილაპარაკებენ საქართველოში არჩევნების გაყალბებაზე...



**ბონდო ქობულია,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

# ომის შემდეგ რომ გამოსულიყო ჰიტლერი და მოებოდიშებინა, დაახლოებით ისეთივეა, ამ ბოროტი მასხარის ბოდიში



**...ეს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით, გადაცემა „არენაში“ განაცხადა.**

ღარიბაშვილის თქმით, „ნაცმოძრაობა“ და მისი ბელადი მალავდნენ კვლევების შედეგებს და ამის მაგალითად თამარ ჩერგოლეიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება მოიშველია.

**„რასაც ბოლო დღეებში ვისმენთ, ეს არის აღიარებათა კასკადი. სხვათა შორის, გუშინ ერთ-ერთ ტელეგადაცემაში მოვისმინე, ვითომ მათი ოპოზიციონერი, ბოკერიას მეუღლე, ქალბატონი ჩერგოლეიშვილი ამბობდა, რომ გვარამიამ, რომელიც სახეა მთელი ამ გარყვნილი და ბინძური, მტრული ძალის, გააყალბა კვლევის შედეგები და დამალა სააკაშვილის დაბალი რეიტინგი 2016 წელს. ეს არის პირდაპირი აღიარება, რომ „ნაცმოძრაობა“ და მათი ბელადი მალავდნენ და მალავენ კვლევებს. ეს არის აღიარება და დადასტურება ფაქტისა, რაზეც ჩვენ ამ წლების განმავლობაში ვსაუბრობდით, რომ დამკვეთი შეიძლება ყოფილიყო NDI და სხვა, მაგრამ შემსრულებელი იყო მათივე ორგანიზაცია“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

თავდაცვის მინისტრმა სააკაშვილის ბოლო დღეებში გაკეთებულ განცხადებებს „დიდი ტყუილი“ და ეშმაკის აღსარება უწოდა.

**„რაც შეეხება სააკაშვილის დიდ ტყუილს. რატომ არის დიდი ტყუილი? მანამდე პატარა ტყუილი იყო, რომ ის მოდიოდა საქართველოში. რისი ჩამომსვლელია ეს ადამიანი?! პრეზიდენტი იყო, რომ გაიქცა აქედან, რადგან ეშინოდა. რისი ეშინოდა? — საკუთარი ბინძური დანაშაულების. უამრავი დანაშაულის, რომელიც მან ჩვენი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა. ახლა მორიგი დიდი ტყუილი: სააკაშვილი წარმოგვიჩინეს, როგორც მომნანიებელი. რეალურად ეს არის ეშმაკის აღსარება. ვითომ ბოდიში. რა ბოდიში?! ბოდიში კი არა, ის უნდა ჩამოვიდეს და მოიხადოს სასჯელი საქართველოში იმისთვის, რაც მან გააკეთა“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ყველაზე დიდი დანაშაული, რაც სააკაშვილმა ჩაიდინა, საკუთარი ტერიტორიების გაყიდვა და მტრისთვის ჩაბარებაა.

**„რუსის ჯარი ქვეყნიდან გასული იყო 2005 წელს. ამ ბოროტმა მასხარამ მოახერხა ის, რომ გასვლის დღიდან სამ წელიწადში რუსული ჯარი შემოიყვანა და დააკანონა ოკუპაცია. აფხაზეთსა და ცხინვალში სრულყოფილი ბაზა ააშენებინა რუსის ჯარს და ის გვევლინება პროდასავლურად, პროამერიკელად, არადა ის არის ყველაზე გამორჩეული ავანტიურისტი, რუსული ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებელი, საქართველოში თუ უკრაინში. მეტ ინფორმაციას გეტყვით, რაც ფატებით არის დადასტურებული: ფარულად უკვე დაპირისპირებულია ზელენსკისთან. მანამდე მოგეხსენებათ, როგორც მოიქცა პოროშენკოსთან. შეეფარა მას და შემდეგ დაუწყო ბრძოლა. პანჩურით გამოაგდეს და თმებით ითრიეს. ახლაც იგივე გააკეთა და იგივე ბედი მოელის. გამოაგდებენ დღე-დღეზე. ვერ ამბობს, როდის ჩამოვა, რადგან იცის, რომ საქართველოში ვერ ჩამოვა“,** — დასძინა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, „მეორე დიდი ტყუილი“ და „მოსახლეობის შეურაცხყოფაა“, როდესაც ოპონენტები სააკაშვილის პრემიერად წარდგენაზე საუბრობენ.

**„ჩვენი მოსახლეობის მეორე დიდი ტყუილი და შეურაცხყოფაა, რომ გამოდიან და იძახიან, პრემიერად წარვადგინეთო. როგორ უნდა წარადგინო?! ადამიანი არის უკრაინის მოქალაქე. საკუთარი ნებით დათმო საქართველოს მოქალაქეობა კაცმა, რომელიც ცხრა წელი იყო საქართველოს პრეზიდენტი და დღეს ვითომ წარადგინეს პრემიერად. როგორ? კანონს დაარღვევენ თუ ფეხქვეშ გათელავენ, როგორც მანამდე აკეთებდნენ. ეს ხომ ჩვენი მოსახლეობის შეურაცხყოფაა. ჩვენ არ გვავიწყდება ის, რაც გააკეთა: ტერიტორიების დაკარგვა, კოდორის ჩაბარება, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის დაკანონება. 300 ათასი ქართველი გაასამართლა ამ ვითომ დემოკრატმა, რეალურად კი ფსევდოპროდასავლელმა. ასევე გავიხსენოთ ბიზნესის ტერორი. ეს არის ის მემკვიდრეობა, რაც ამ კაცმა დაგვიტოვა“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ამასთან, თავდაცვის მინისტრმა მიხეილ სააკაშვილის ბოლო ვიდეომიმართვა გაიხსენა და იგი ჰიტლერს შეადარა.

**„ომის შემდეგ რომ გამოსულიყო ჰიტლერი და ეთქვა ბოდიში, აღარ გავიმეორებო, დაახლოებით იგივეა ამ ბოროტი მასხარის ბოდიში, ასე ჟღერს ის ჩვენთვის, პასუხისმგებლიანი მოქალაქეებისთვის, რომლებსაც გვიყვარს სამშობლო“.**



# პირველი სამუშაო ვიზიტი საოკუპაციო ხაზთან

**შერიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთის საოკუპაციო ხაზზე პირველი სამუშაო ვიზიტით ჩავიდა. თეა ახვლედიანი სოფელ რუხში მდებარე ქართული საგუშაგოს წარმომადგენლებს შეხვდა და ენგურის ხიდზე არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნო.**



მინისტრი ეწვია ფახულანი-საბერიოს ე.წ. გადასასვლელსაც და განმუხური-ფიჩორის გამყოფ ხაზს, ისევე, როგორც საოკუპაციო ხაზზე არსებულ ორსანტია-ოტობაიის, ხურჩა-ნაბაკევისა და შამგონა-თაგილონის ე.წ. გამშვებ პუნქტებს, რომლებიც რამდენიმე წელია, აღარ ფუნქციონირებს.

სახელმწიფო მინისტრი, ადგილობრივ თვითმმართველობებთან ერთად, გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობასაც შეხვდა.

# შეიძინეთ ქართული წარმოების საშენი მასალა და ადგილობრივი პროდუქცია

**„მინდა ყველას მოვუწოდო, პირველ რიგში, სამშენებლო ბიზნესს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქართული წარმოების საშენ მასალას, ქართულ მარმარილოს, ბაზალტს და სხვა ქართულ პროდუქციას, შეიძინონ ადგილობრივი მასალა და არა იმპორტირებული“,** - განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ კომპანია „ჯეოსტოუნის“ მარმარილოსა და ბაზალტის გადამამუშავებელ საწარმოში ვიზიტისას.

კომპანია „ჯეოსტოუნი“ სასარგებლო მინერალებისა და ბუნებრივი ქვების მოპოვების სექტორში ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა, რომელიც ბუნებრივი ქვის მოპოვებაზე, წარმოებაზე, დამუშავებასა და ტრანსპოტირებაზეა სპეციალიზირებული. კომპანია ასევე ფლობს ბაზალტისა და კირქვის კარიერებს, საიდანაც მაღალი ხარისხის პროდუქციას აწარმოებს.

კომპანიაში თითქმის 8 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა. ამ ეტაპზე დასაქმებულია 24 ადამიანი.

**„მნიშვნელოვანია, რომ ქართული მარმარილო, რომელიც მოიპოვება ლოპოტაზე და გადამუშავდება კომპანია „ჯეოსტოუნის“ მიერ, არა მხოლოდ ქართულ ბაზარს მიეწოდება, არამედ ექსპორტზე გადის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ავსტრალია და ჩინეთი, სადაც ქართული მარმარილო კონკურენტულია. მინდა მოვუწოდო ყველას საქართველოში, პირველ რიგში, სამშენებლო ბიზნესს, რომ განსა-**



**კუთრებული ყურადღება მიაქციონ ქართული წარმოების საშენ მასალას, ქართულ მარმარილოს, ბაზალტს, სხვა ქართულ პროდუქციას და შეიძინონ ადგილობრივი მასალა და არა იმპორტირებული“,** — აღნიშნა ნათია თურნავამ.

# მინისტრი პირველი მოსავლის აღებას დაესწრო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი გორის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა, სადაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „პომონა“ ვაშლის ბაღში პირველი მოსავლის აღებას დაესწრო. პროგრამის ,,დანერგე მომავალი“ ფარგლებში გაშენებული ინტენსიური ბაღის საპროგნოზო მოსავლის რაოდენობა 80 ტონას შეადგენს.

**„პროგრამა „დანერგე მომავალი“ აერთიანებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას და ტექნოლოგიას, რაც საშუალებას აძლევს ფერმერს, გააშენოს თანამედროვე, ინტენსიური ბაღები და მიიღოს მაღალი ხარისხის უხვი მოსავალი. ეს კოოპერაციული ბაღი ამის ნათელი მაგალითია. რამდენიმე წლის წინ, ასეთი მეურნეობები საქართველოში საერთოდ არ არსებობდა. ჩვენი თანმიმდევრული პოლიტიკის — წარმოების სხვადასხვა ეტაპზე თანადაფინანსების და მხარდაჭერის, ტექნიკური დახმარების და ცოდნის გაზიარების შედეგად, დღეს სხვადასხვა კულტურაში გაშენდა ათეულობით ასეთი ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური ბაღი. იმედი გვაქვს, რომ სწორედ მსგავსი თანამედროვე მეურნეობების შექმნა-განვითარებით, ის ჩარევა, რასაც დღეს სახელმწიფო არასტანდარტული მოსავლის დაბინავების კუთხით ახორციელებს, საჭირო აღარ იქნება. ჩვენი ფერმერები შეძლებენ აწარმოონ მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი პროდუქცია და დააკმაყოფილონ არა მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნა, არამედ გავიდნენ საექსპორტო ბაზრებზე“,** — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.



პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა „პომონა“ ვაშლისა და ბლის ბაღი 12 ჰა-ზე გააშენა, მათ შორის 5 ჰა-ზე ვაშლის ბაღი პანდემიის პერიოდში გაშენდა.

კოოპერატივმა, ნერგების, სარწყავი და სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობისათვის სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების სახით 220 000 ლარი მიიღო. „პომონა“ შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ბენეფიციარია, სესხის ოდენობა 620,000 ლარს შეადგენს.

პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, შიდა ქართლის რეგიონში ხეხილის ბაღი 2 387 ჰა-ზეა გაშენებული, სახელმწიფო თანადაფინანსება 16 მლნ ლარს შეადგენს.




# მოსახლეობა საცობებში იხრჩობა, ჭავჭავაძეზე კი მძღოლები ავარიებს „დგამენ“...

**თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.**

როგორც სხდომაზე აღინიშნა, შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, „თბილისობა 2020“-ის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები გაუქმდა. ჩატარდება მხოლოდ კონცერტები, რომლებიც ონლაინ რეჟიმში გადაიცემა.

**„ყველამ ვიცით, რომ „თბილისობა“ ოქტომბრის პირველ შაბათ-კვირას იმართებოდა. არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამ ღონისძიებების გადადება მოგვიწევს. ჩვენთვის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი გახლავთ ადამიანების სიცოცხლე და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოება. შესაბამისად, „თბილისობის“ ღონისძიებები გაუქმდება. ჩვენ ვიმუშავებთ კულტურის სამსახურთან, რომ დავგეგმოთ მხოლოდ კონცერტები, რომლებიც Live რეჟიმში გადაიცემა და მოქალაქეებს, საქართველოს მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა, „თბილისობა 2020“-ის კონცერტები ტელევიზიით იხილოს“,** - განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა ასევე აღნიშნა, რომ 10 სექტემბრიდან პეკინის გამზირსა და მიმდებარე ქუჩებზე ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა ძალაში შედის. მისი თქმით, ანალოგიური სისტემა კოტე აფხაზის ქუჩაზე, ორბელიანის მოედანსა და მიმდებარე ქუჩებზე წარმატებით მოქმედებს.

თბილისის მერმა ყურადღება დედაქალაქის საცობებისგან განტვირთვისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე გაამახვილა. მისი თქმით, საავტომობილო გზებზე მოძრაობის შეუფერხებლად გადაადგილების მიზნით, საკომუნიკაციო ქსელებზე მომუშავე კომპანიებს საავარიო შემთხვევების გარდა, სამუშაოების წარმოება მხოლოდ ღამის საათებში შეეძლებათ.

დედაქალაქის მერმა ახალი რეგულაციით განსაზღვრული წესების მაქსიმალურად გაკონტროლება თბილისის მუნიციპალურ ინსპექციას, ხოლო პროცესის ზედამხედველობა მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანს დაავალა.

**„ჩვენ ვამუშავებთ ტრანსპორტის გენერალურ გეგმას, რომელზეც საერთაშორისო კომპანიები მუშაობენ და უახლოეს მომავალში სრული სურათი გვექნება. პარალელურად, შეზღუდვები დავუწესეთ ნარჩენების გამტან მანქანებს, რომ დღის საათებში არ იმოძრაონ. განსაკუთრებით ცენტრალურ ქუჩებზე, რომ ღამის საათებში მოხდეს ნარჩენების გატანა. ასევე, აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობს სადისტრიბუციო კომპანიებთან, რომ ავტომობილების მოძრაობა გარკვეულ დროში მოვაქციოთ. გარდა ამისა, გადაადგილების დროს სერიოზულ შეფერხებას სამარშრუტო ტაქსებიც იწვევდა. ამ მიმართულებითაც გამოყოფილი გვაქვს კონკრეტული ქუჩები, სადაც მიკროავტობუსის მძღოლებს გაჩერებების გარდა, სხვა ადგილებში გაჩერება ეკრძალებათ. ამას ჩვენი სამსახურები აკონტროლებენ და ვინც არღვევს, იმას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება.**

**ამასთან, ხშირია შემთხვევები, როდესაც ისეთი კომპანიების მხრიდან, როგორებიცაა: „თელასი“, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (GWP) და სხვა, ავარიების დროს სამუშაოების დაწყება შეტყობინების გარეშე ხდება, რაც სერიოზულ პრობლემას იწვევს. ეს პრობლემა აუცილებლად უნდა მოგვარდეს, რასაც ირაკლი ბენდელიანს ვავალებ. ვიცი, რომ უკვე იყო კომუნიკაცია ყველა კომპანიასთან. თუ რაიმე სამუშაოა ჩასატარებელი, ეს ყველაფერი უნდა მოხდეს ღამის საათებში, რადგან დღის განმავლობაში ისედაც დიდი ნაკადებია, თან მალე სასწავლო პროცესი იწყება“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, მოსახლეობას სამუშაოების წარმოების შესახებ ინფორმაცია წინასწარ უნდა მიეწოდოს, რათა გადაადგილების დროს ნაკლები დისკომფორტი შეიქმნას.

დედაქალაქის მერმა მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სოფელ დიღომსა და მუხიანის დასახლების სხვადასხვა მისამართზე წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები ხორციელდება.

მთავრობის დღევანდელ სხდომაზე კახა კალაძემ გლდანის რაიონში სანიაღვრე ქსელის მოწყობის აუცილებლობაზე ყურადღება კიდევ ერთხელ გაამახვილა. მისი თქმით, სანიაღვრე ქსელი პირველ ეტაპზე, ვეკუას ქუჩის ზედა მხარეს არსებულ ბოჭორიშვილისა და კეცხოველის ქუჩებზე მოეწყობა.

თბილისის მერის განცხადებით, გლდანის რაიონში მსგავსი პროექტები ეტაპობრივად, ყველა იმ ქუჩაზე განხორციელდება, რომელიც უხვი ნალექის დროს ცენტრალურ ქუჩას პრობლემას უქმნის და სანიაღვრე ქსელის მოწყობას საჭიროებს.

დედაქალაქის მერი ბოლო დღეების განმავლობაში, ჭავჭავაძის გამზირზე მომხდარ რამდენიმე ავტოსაგზაო შემთხვევასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ დადასტურებულ სამართალდარღვევებზე შესაბამისი სანქციების გამოწერა უკვე დაიწყო.

**„ვინც ერთხელ მაინც გაიარა ჭავჭავაძის გამზირზე, ცხადია, გაუჩნდება კითხვა, თუ როგორ შეიძლება ავტობუსი დაეჯახოს კერძო ავტომობილს. შეუძლებელია, რადგან ყველას აქვს გამოყოფილი თავისი ზოლი და თუ რაღაც სასწაულს არ ჩაიდენ, შეუძლებელია, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდეს. მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომ ჭავჭავაძის გამზირზე უკვე დაიწო ჯარიმების გამოწერა, ჩართულია სპეციალური ვიდეოკამერები, ვთანამშრომლობთ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ყველა დარღვევა პოლიციელის გარეშე ფიქსირდება. რა თქმა უნდა, დაჯარიმებული მოქალაქეები ოფიციალურ შეტყობინებას მიიღებენ“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თხოვნაა, რომ მაქსიმალურად დავიცვათ მოძრაობის წესები, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, ერთმანეთის ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე ვიზრუნოთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“...

# უპატრონო ახალგორელები...

## იზოლაციის ერთი წელი




ᲣᲙᲕᲔ ერთი წელი მიილია, რაც ახალგორის ოკუპირებული რეგიონი ფაქტობრივ იზოლაციაშია. გასული წლის 5 სექტემბრიდან მოყოლებული, „რაზდახანის" (ოსური სახელწოდება) გამშვები პუნქტი ჩაკეტილია. ადგილობრივებს დანარჩენ საქართველოსთან დე ფაქტო საზღვრის გახსნის იმედი აღარ აქვთ. ბევრი მათგანი ამ პირობებში შემოვლით გზებს ირჩევს, რაც დისკომფორტულობის გარდა, რეალური საფრთხის შემცველია.

**„ხანდაზმულები, რომელთა უმრავლესობას ქრონიკული დაავადებები აწუხებს, სამკურნალოდ გასვლას „წითელი ჯვრის" ხაზით ცდილობენ, ხშირად კი, ასე ვთქვათ, თავის დიაგნოზებს ნათესავებთან გასასვლელად იყენებენ. თბილისის კლინიკებში სამკურნალოდ ჯანდაცვის სამინისტროს ნებართვის მისაღებად მათ გამოკვლევა უნდა ჩაიტარონ ცხინვალის კლინიკაში, ან ჯერ — ახალგორში, მაგრამ შემდეგ მინიმუმ სამი დღის განმავლობაში - მაინც ცხინვალში. ასე გადის შემოწმებას ყოველკვირეულად რამდენიმე ადამიანი მაინც, თანმხლები პირების გარეშე. მაგრამ გასასვლელად საჭიროა საშვიც, რომელიც ყველას როდი აქვს — მარტის შუა რიცხვებიდან ხომ მათი გაცემა კარანტინის გამო შეწყდა. ვინც არც ხანდაზმულია და არც ავადმყოფი, „წითელი ჯვრის" ოჯახების გაერთიანების პროგრამით ცდილობს სარგებლობას. ჩემი მონაცემებით, ოჯახებთან გასვლის სურვილი 90-მდე ადგილობრივმა გამოთქვა, თუმცა ხსენებული პროგრამით სარგებლობა ამ დრომდე მხოლოდ ხუთიოდემ მოახერხა"** — ყვება ადგილობრივი სამოქალაქო აქტივისტი **თამარ მეარაყიშვილი**

ქართულ მხარეს გადასულ ყველა ახალგორელს ორკვირიანი სავალდებულო კარანტინი ელის, გამონაკლისს მხოლოდ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში უშვებენ — ასეთ ავადმყოფებს კოვიდ-კვლევა სტაციონარშივე უტარდებათ. ორკვირიანი სავალდებულო კარანტინის გავლა მოუწევთ მათ ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში დაბრუნებისთანავეც.

ამდენად, დე ფაქტო საზღვრის ამ გზით კვეთას მხოლოდ მათთვის აქვს აზრი, ვინც ოკუპირებული რეგიონიდან ხანგრძლივი დროით გადის. ხოლო ისინი, ვისაც უბრალოდ ნათესავების მონახულება სურს ან ერთი-ორი დღის სხვა საქმე გააჩნია, ამ გზას დე ფაქტო საზღვრის არალეგალურად კვეთას ამჯობინებენ. თუმცა ამ დროს რისკავენ, დაკავებულები აღმოჩნდნენ ან ოსურ, ან ქართულ მხარეს.

დე ფაქტო საზღვარს მთიან მიდამოებში კვეთენ, სადაც ნაკლები „თვალია". თუმცა აქაც თავისუფლად შეიძლება, აღმოჩნდე „გამოჭერილი": ახალგორის რაიონის დაცარიელებულ სოფლებში ხომ ერთი ადამიანის არყოფნაც ადვილი შესამჩნევია მეზობლებისთვის, რომელთაგან რომელიმემ შეიძლება, გასული პირი დე ფაქტო ხელისუფლებასთან „ჩაუშვას". შედეგად, თუ მალულად გასვლას წარმატებით მოახერხებ, უკან დაბრუნებულს აუცილებლად შეგიქმნიან პრობლემებს — მოგაკითხავთ სასწრაფო დახმარებისა და მილიციის ეკიპაჟები, დაგაკავებენ, ჯარიმას გადაგახდევინებენ და სავალდებულო ორკვირიან კარანტინში მოგათავსებენ. ამის გამო გამსვლელთა უმრავლესობა ცდილობს, ოფიციალური თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ორ დღეზე მეტ ხანს არ დარჩეს.

თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც — როცა დიდი ხნით გასულები შეუმჩნევლები და, შესაბამისად, დაუსჯელები რჩებიან. ამის დასტურად ისინი დროდადრო სოცქსელში აჭარის პლაჟებზე ან თბილისის ცენტრში გადაღებულ ფოტოებს ათავსებენ, რაც შემდგომ მითქმა-მოთქმის მიზეზი ხდება იმის შესახებ, რომ ყველა დამრღვევს ერთნაირი მონდომებით არ სჯიან.

მეარაყიშვილი ამბობს, რომ არაფერი ჰქონდა ამ ადამიანების საწინააღმდეგო, მაგრამ პანდემიამ ეს დამოკიდებულება შეუცვალა:

**„ერთი მხრივ, მესმის მათი. თუ ხალხი იზოლაციის რეჟიმით 30 000-იან ცხინვალში დაიღალა, წარმოიდგინეთ, ჩვენ რა მდგომარეობაში ვართ ნახევრადდაცარიელებულ დაბაში, სადაც არავითარი კულტურული ცხოვრება არ არსებობს და ვერც ნათესავებს ვნახულობთ. თან ამ რეჟიმში გასული წლის სექტემბრიდან ვცხოვრობთ. ხანდახან ისე ხდება, რომ იქით მხარეს ახლობელი გვიკვდება და დადგენილი წესების დაცვით მის დაკრძალვაზეც კი ვერ ვახერხებთ გასვლას. ერთ აქაურ ქალს წეროვანში მეუღლე გარდაეცვალა. ჩვენი ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და მოხუცი ქალბატონი „რაზდახანით" ოფიციალურად გადაუშვა, მაგრამ იგი ქართულ საგუშაგოზე დააკავეს და ორკვირიან სავალდებულო კარანტინში მოათავსეს, რის გამოც მეუღლის დაკრძალვას მაინც ვერ დაესწრო. ამიტომაც ცდილობს ყველა, ვისაც ამის ჯანმრთელობა ჰყოფნის, საზღვარი არალეგალურად გადაკვეთოს — ასე შანსი რჩებათ, ქართულ მხარეს არ დააკავონ. თუმცა მეორე მხრივ, ისინი არა მარტო თავად რისკავენ. ისინი რისკავენ ჩვენი ჯანმრთელობითა და სიცოცხლითაც, თანაც ჩვენი ნებართვის გარეშე".**

როგორც თამარი აღნიშნავს, აუცილებელია, დე ფაქტო საზღვრის ლეგალური კვეთა იქნას უზრუნველყოფილი, თუნდაც მოქალაქეებისთვის დისკომფორტული პირობებით — ორი კარანტინით:

**„ამ შესაძლებლობით სარგებლობას შეძლებენ მოქალაქეები, რომლებსაც რესპუბლიკიდან გასვლა სამუდამოდ, ან ხანგრძლივი დროით სურთ, ასევე პირიქით — ისინი, ვინც დაბრუნებას ვერ ახერხებდნენ. კარანტინის გამო ქართულ მხარეს ჩარჩნენ მთელი ოჯახები, ბევრი მათგანი — მცირეწლოვანი ბავშვებით. ამ ადამიანებს უფლება აქვთ, დაბრუნდნენ"** — დასძენს მეარაყიშვილი.

# აზრზე მოდით, პოპულისტებო!

## „სად იყავით, როცა ამ უბედურებას სამ თვეში 17 ახალგაზრდა შეეწირა?"



ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ, კასპში სამი სუიციდის შემთხვევა მოხდა და ჩემი ინფორმაციით, სამივე აზარტულ თამაშებს უკავშირდება, ამიტომ არ შეიძლება, რომ ეს საკითხი პოლიტიკური ქულების დაწერისა და პოპულიზმის თემად ვაქციოთ — არასამთავრობო ორგანიზაცია „დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ" ხელმძღვანელი **თამარ ჯაფარიძე** სოციალურ ქსელში ემოციურ მიმართვას აქვეყნებს:

**„როგორ არ მინდა გამოვეხმაურო პერსონებს, რომლებმაც ჩვენი ორგანიზაციის — „დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ" ჩაძირვა, საქმიანობის მითვისება და სათავისოდ გამოყენება მოინდომეს და ასეთი სამწუხაროდ, არა ერთია.**

**ახლახან, კასპში სამი სუიციდის შემთხვევა მოხდა და ჩემი ინფორმაციით, სამივე აზარტულ თამაშებს უკავშირდება, ამიტომ არ შეიძლება, რომ ეს საკითხი პოლიტიკური ქულების დაწერისა და პოპულიზმის თემად ვაქციოთ . ვადასტურებ, რომ ეს ეროვნული საქმეა და ყველამ ერთად უნდა შევძლოთ „მონსტრი" ბიზნესის დამარცხება და ერის გადარჩენა გაჩანაგებისგან. ამ საკითხთან მიმართებაში, პოზიციაც და ოპოზიციაც დამნაშავეა. სად ბრძანდებოდით, ძველო პოლიტიკოსებო მაშინ, როცა თქვენს მხარდაჭერას ველოდით? სად იყავით ახლად გამომცხვარო პოლიტიკოსებო, როცა აქციებს ვმართავდით, სად იყავი იმიჯდაყენებულო ინტელიგენცია, როცა სამ თვეში 17 ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა უკონტროლო ბიზნესმა?**

**მშრომელთა პარტიის ლიდერო, ახლა გაგახსენდა? მოძებნე ჩვენი კვლევები? არჩევნებია? რატომ გაიმეტე ანა დოლიძე დედების ორგანიზაცია ჩასაძირად? ასეთი დავალება მიიღე ალბათ.. რას იზამთ, როგორც ყველას, ისე ჩვენც გულანთებული მებრძოლი გვეგონე. სად იყავით ბატონო გია ვოლსკი, სოფო კილაძევ, ოთანაშვილო, გოჩა ენუქიძევ, რომან გოცირიძევ და მრავალნო სხვანო, როცა კანონპროექტი პარლამენტის სხდომაზე გადიოდა განსახილველად?**

**დაგეზარათ ღილაკის არჩევა თუ ესეც მორიგი მზაკვრული ინსტრუქცია იყო?**

**არჩევნების მოსაგებად გახსენდებათ ხალხი.**

**ვინმეს გაქვთ ხმის ამოღების უფლება? მით უმეტეს, ამ ორგანიზაციის კვლევებს ასაჯაროებდეთ, ისე,რომ არც ასახელებდეთ წყაროს.**

**აზრზე მოდით, პოპულისტებო!!!**

**მე გთავაზობთ სტატისტიკას, რომელსაც დედების ორგანიზაცია ხალხისგან მიღებული ინფორმაციით აწარმოებს. როგორც არ უნდა ეცადონ ჩვენი ნამუშევრის მითვისებას, ფაქტია, რომ ამას არც სახელმწიფო აკეთებს და არც რომელიმე პოლიტიკური პარტია. მოვუწოდებ ყველა მაჟორიტარს, ძველ თუ ახალ პოლიტიკოსს, რომ ნუ აქცევენ ამ საკითხს საარჩევნოდ ხმების მოზიდვის თემად. სირცხვილია!".**

# კორონავირუსმა კიდევ ერთი სუპერპროექტი შეიწირა?!

**ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡᲐ და ენერგომატარებლებზე შემცირებული მოთხოვნის გამო, საქართველო ამჯერად იძულებული გახდა, რომ გაზსაცავის უმნიშვნელოვანეს პროექტზე უარი თქვას გაურკვეველი ვადით, რის გამოც სესხის მიზნობრიობა შეიცვალა. პროექტი, რომლის განხორციელება 2024 წლამდე უნდა დასრულებულიყო, როდის დაიწყება ახლა, უკვე აღარავინ იცის.**

მთავრობასა და გერმანიის განვითარების ბანკს შორის უკვე შედგა მოლაპარაკება, რომლის შედეგადაც გადაწყდა, რომ მოდიფიცირებას დაექვემდებარა გერმანიის სესხის 150 მილიონი ევროდან 120 მილიონი ევრო. განახლებული შეთანხმებით, თანხა საქართველოში კოვიდ-19-ის კრიზისის დაძლევას მოხმარდება. მანამდე ეს თანხა განკუთვნილი იყო მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტისთვის.

გაზსაცავის მშენებლობა თბილისთან ახლოს, სამგორის სამხრეთი თაღის დაცლილ, დამუშავებულ ნავთობის საბადოზე იგეგმებოდა. პროექტი საპარტნიორო ფონდმა ჯერ კიდევ 2014 წლის ოქტომბერში წარადგინა. მისი მთლიანი საინვესტიციო მოცულობა 220-250 მილიონ ევროდ არის შეფასებული.

ჯერ კიდევ 2020 წლის თებერვალში ნავთობისა და გაზის კორპორაციის ხელმძღვანელი **გიორგი ბახტაძე** ამბობდა, რომ საქართველოში გაზსაცავის მშენებლობა მიმდინარე წლის მეორე ნახევარში დაიწყებოდა. ამის შესახებ მან იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც გაზსაცავის ექსპლოატაციაში შესვლის თარიღის რამდენჯერმე გადავადებას ეხებოდა.

**„თავიდან იყო ლაპარაკი, რომ გაზსაცავი ექსპლოატაციაში 2021 წელს უნდა შესულიყო, მაგრამ ეს ძალიან რთული ტექნიკური პროექტია, სერიოზული შესწავლა იყო საჭირო. ჩვენ აბსოლუტურად დეტალურად შევისწავლეთ ეს პროექტი, გავაკეთეთ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, რამაც ძალიან დიდი დრო წაიღო. იგეგმება, რომ 2024 წლის დასაწყისში ექსპლოატაციაში შევიდეს გაზსაცავი.**

**გამარჯვებული კომპანია მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გამოვლინდება და ჩვენი გეგმით, დაახლოებით, წლის მეორე ნახევარში დაიწყება მშენებლობა",** — აცხადებდა 7 თვის წინ ბახტაძე.



მას შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დადგა და ახლა პროექტის განხორციელებაზე საუბარი საერთოდ ზედმეტია. ენერგეტიკოსი **ლიანა ჯერვალიძე** ამბობს, რომ პროექტის შეჩერება დიდი დანაკარგია ქვეყნისთვის, რამდენადაც იგი საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**„გაზსაცავი აქტუალური პროექტია, რომელიც ენერგოუსაფრთხეობას ეხება და მთლიანად რომ გაჩერდეს, წარმოუდგენელია. ცხადია, სექტორი ელოდება მოთხოვნის აღდგენას და სანამ სიტუაცია არ შეიცვლება, ამ პროექტების განხორციელებას სერიოზული რისკი ექმნება, მთავრობის გადაწყვეტილებაც ამით არის განპირობებული",** — აღნიშნა ენერგეტიკოსმა.

**ბექა დანელია**



ფერეიდნელები. XIX საუკუნის მიწურულის ფოტო

# „ისტორიის ობლები“

**ქართველთა გამუსლიმების პროცესს თან ახლდა ეკლესიების დანგრევა, საეკლესიო ნივთების განადგურება და საქართველოდან წაღებული საეკლესიო რელიკვიების მიტაცება. ამ დროს ირანელებმა გაანადგურეს მღვდლების მიერ საქართველოდან წაღებული ემბაზები, რომლებშიც ათწლეულების განმავლობაში უცხოობაშიც ნათლავდნენ ბავშვებს. ფერეიდნელი ქართველების გამუსლიმების შემდეგ ირანელებმა მათი რბევა და დაწიოკება შეწყვიტეს. ქართველთა გამუსლიმებამდე ფერეიდანში ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ ქართველი მღვდლები. გამუსლიმების შემდეგ ეკლესიები ან დაანგრიეს, ან მეჩეთებად გადააკეთეს. აღარ მოიპოვება ცნობები ქართველი სამღვდელოების შესახებ. თანდათან დავიწყებას მიეცა საეკლესიო დღესასწაულები, ქართული სიმღერები და ცეკვები. სტუმართმოყვარე ქართველები ჩაიკეტნენ და მუდმივი შიშის პირობებში აგრძელებდნენ ცხოვრებას. ქართული ეროვნული ტანსაცმლიდან შემორჩა მხოლოდ ფართო შარვლები და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილობრივთა სამოსს წააგავდა. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ფერეიდნელებს კარგად ახსოვდათ, რომ მათი ისტორიული სამშობლო საქართველო იყო. ლეგენდები და თქმულებები თაობიდან თაობას გადაეცემოდა.**

ცხადია, ყოველივე ეს ცნობილი ხდებოდა ირანის ხელისუფლებისათვის. მისი წარმომადგენლები ცდილობდნენ, არ დაეშვათ ფერეიდანში საქართველოდან ვინმეს ჩასვლა, სურდათ, მოესპოთ ყოველგვარი კავშირი ფერეიდანსა და საქართველოს შორის. მიუხედავად ამგვარი სიმკაცრისა, ფერეიდნელი ქართველების ცნობით, მათთან ჩასულა **ლადო აღნიაშვილი** (ლადო აღნიაშვილი სპარსეთში 1894 წელს გაემგზავრა — **ვ. გ.**), მას თბილისში წიგნიც გამოუცია სპარსეთში მოგზაურობის შესახებ (ლადო აღნიაშვილის წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“ 1896 წელს გამოიცა — **ვ. გ.**). ფერეიდნელები ჰყვებოდნენ, რომ ლადო აღნიაშვილმა ყველა ქართული სოფელი შემოიარა, იგი ქართველებს ურჩევდა: ირანელებთან სისხლის აღრევა არ დაეშვათ, როგორმე შეენარჩულებინათ ქართული ენა და ეროვნული ტრადიციები, შეენარჩუნებინათ ერთობა და დალოდებოდნენ თავისუფლებას. ლადო აღნიაშვილს ფერეიდანში, სოფელ ბუნის ერთ-ერთი მცხოვრებისთვის სამახსოვრო წერილიც დაუტოვებია.

ლადო აღნიაშვილამდე 10-15 წლით ადრე ფერეიდანში ჩასულა ქართველი, სახელად **იუსუფი** (შეიძლება იოსები — ვ. გ.), რომელიც გეოლოგიურ კვლევებს აწარმოებდა. იგი მალევე დაბრუნებულა უკან. იუსუფის წასვლის შემდეგ ფერეიდნის სოფელ ახორას მკვიდრი **გულიამ ჰუსეინ ონიკაშვილი,** პროფესიით პარიკმახერი, თბილისში ჩამოსულა. მას მიზნად ფერეიდანში ქართული სკოლის გახსნა დაუსახავს და თბილისში ქართული წიგნებიც შეუძენია. ირანის ხელისუფლების წარმომადგენელთა, მოლებისა და ზოგიერთი ქართველის წინააღმდეგობის გამო ფერეიდანში ქართული სკოლის გახსნა ვერ მოხერხდა.

1921 წელს ფერეიდანში ჩასულა ქართველი თავადი, რომლის სახელი და გვარი იქაურებს აღარ ახსოვდათ. ქართველმა თავადმა იქ გარკვეული დრო დაჰყო, ხოლო თბილისში დაბრუნების წინ საქართველოში სტუმრად მიიწვია სოფელ ზემო ახორას მცხოვრები **სეიფულა ხან იოსელიანი**. ეს უკანასკნელი თბილისში ჩამოვიდა, ერთი წელი დარჩა, ფერეიდანში ქართული სკოლის გახსნისათვის აუცილებელი წიგნები შეიძინა და ირანში დაბრუნდა. თეირანში სეიფულა ხან იოსელიანი შეხვდა რეზა ხან ფეხლევს, რომელიც იმხანად ირანის სამხედრო მინისტრი იყო და ფერეიდანში ქართული სკოლის გახსნის უფლება მიიღო. ამჯერად სკოლის გახსნა მოხერხდა. სეიფულა ხან იოსელიანს განზრახული ჰქონდა სკოლაში ქართული, რუსული და სპარსული ენების სწავლება. მან სკოლის გასათბობად ლითონის ღუმელიც კი ჩაიტანა. ირანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მოლებისგან წაქეზებულმა ქართველების ნაწილმა ხმა გაავრცელეს, რომ სეიფულა ხან იოსელიანი ქრისტიანობის აღდგენას ცდილობდა, ხოლო ლითონის ღუმელისგან ეკლესიისათვის ზარის ჩამოსხმას აპირებდა. დაიწყო თავდასხმები სეიფულა ხანზე, იგი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაკითხეს კიდეც. მიუხედავად ამისა, მამაცი ქართველი ვერ დააშინეს და სკოლაც ფუნქციონირებას განაგრძობდა. არსებობის მანძილზე სკოლამ ქართული ენა დაახლოებით 20 ფერეიდნელს შეასწავლა, რომელთაგან ოთხი თუ ხუთი სოფელ ბუნიდან იყო. სკოლაში ქართული ენა შეისწავლა სეიფულა ხან იოსელიანის ვაჟმაც. თეირანიდან ფერეიდანში ქართული სკოლის საქმიანობის შესწავლის მიზნით სპეციალური კომისია ჩავიდა, რომელმაც სკოლის დამაარსებელს პრობოლშევიკურ აგიტაციაში დასდო ბრალი... სკოლა დახურეს. სკოლის დახურვიდან რამდენიმე ხნის შემდეგ სეიფულა ხანთან სტუმრად ჩავიდნენ რუსეთ-ირანის ბანკის ისპაჰანის განყოფილების თანამშრომელი **ამბაკო ჭელიძე,** ისპაჰანში რუსეთის კონსულის მეუღლე და რამდენიმე ქართველი. საბჭოთა მოხელეებთან ურთიერთობა სეიფულა ხან იოსელიანს არ აპატიეს, საქმე აღძრეს და იგი პირადად ისპაჰანის მაშინდელმა გენერალ-გუბერნატორმა მემედ ჰუსეინ მირზამ დაკითხა.

1927 წელს სეიფულა ხან იოსელიანთან სტუმრად ჩავიდა მასწავლებელთა ჯგუფი თბილისიდან. ისინი ფერეიდანში რამდენიმე დღეს გაჩერდნენ. მასწავლებელთა საქართველოში გამომგზავრებიდან მალე სეიფულა ხანი მოულოდნელად უდროოდ გარდაიცვალა. ფერეიდნელი ქართველები, განსაკუთრებით კი მეზობელ სოფლებში მცხოვრები სომხები, ვარაუდობდნენ, რომ იგი მოწამლეს. სეიფულა ხან იოსელიანს, გარდა იმისა, რომ იყო მამაცი და შეუპოვარი ადამიანი, ჰქონდა საფუძვლიანი განათლება. მისი ვაჟი, **ფატულლა ხანი,** ასევე განსწავლული ადამიანი იყო, რომელიც თანამოაზრეთა მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად მამის დაწყებულ საქმეს აგრძელებდა.

1944 წლისათვის, როგორც სიმონ ჯანაშიას ნარკვევშია აღნიშნული, მიუხედავად სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარე დევნა-შევიწროებისა, ფერეიდანში 11 ქართული სოფელი არსებობდა: ზემო ახორა, ქვემო ახორა, დაშნესაკი, ბუნი, დომბამიაკარი, (მიანდაშტი), ახჩა (ახჩალი), შავურტი, გაფუზი, ჩუღურურთი (ჩუღურეთი), სიბავი, ჯახჯახი.

ფერეიდნის ქართულ სოფლებში ტვირთის გადასატანად იყენებდნენ ორბორბლიან დიდ ურმებს, რომლებიც ძალიან ჰგავდა ქართულს, ურემში ორ, ოთხ ან ექვს ხარს აბამდნენ. სოფლებს შორის მიმოსვლისათვის ფერეიდნელი ქართველები სახედრებს იყენებდნენ. ცხენები მათ არ ჰყავდათ ორი მიზეზის გამო: ცხენის შენახვა ზამთარში ძვირი ჯდებოდა, ირანელი მოხელეები და ჟანდარმები გლეხების ცხენებს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას იყენებდნენ.



ლადო აღნიაშვილი

**ფერეიდნელ ქართველებს ეკონომიკურად უჭირდათ. ასე თუ ისე, უზრუნველყოფილი იყო სოფლების: ზემო ახორას, ბუნის, გაფუზის — ქართველობა, ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდნენ დაშქესანელები.**

სამშობლოდან 300-ზე მეტი წლის წინათ გადასახლებული ქართველების ხასიათმა გარკვეული ცვლილება განიცადა. 1944 წლისათვის, როგორც სიმონ ჯანაშია აღნიშნავს, ფერეიდნელი ქართველები ძალზე თავშეკავებულები და ჟესტიკულაციის უნარს მოკლებულნი ჩანდნენ. ეს, როგორც ცნობილია, ქართველების დამახასიათებელი თვისება არ არის. ფერეიდნელი ქართველები დინჯად და ხმადაბლა საუბრობდნენ, იშვიათად გაიგონებდით სიცილს ან ხმამაღალ საუბარს. მძიმე კლიმატურმა და ეკონომიკურმა პირობებმა აქაური ქართველები მუდმივ და მძიმე შრომას მიაჩვია, ისწავლეს მომჭირნეობა. მათში თანდათან გახდა შესამჩნევი ქონების დაგროვების მისწრაფებაც, მაგრამ ამ თვალსაზრისით მათ ირანელები სჯობდნენ. მიუხედავად სამშობლოდან დიდი ხნის გადახვეწისა, ფერეიდნელმა ქართველებმა შეინარჩუნეს გულკეთილობა და სტუმართმოყვარეობა. მიუხედავად ირანელებთან ურთიერთობისა, ქართველები მათ არ დაემგვანნენ, თითქმის უცვლელად შეინარჩუნეს ქორწინებისა და საოჯახო ტრადიციები. იმ სოფლებში, სადაც მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, შერეული ქორწინება ძალზე იშვიათი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ირანელებს ქართველზე ქორწინების დიდი მისწრაფება ჰქონდათ. ფერეიდნელი ქართველი ქალები ყოფით ურთიერთობაში ირანელი ქალებივით შეზღუდულნი არასდროს ყოფილან. ქართველთა შორის ძალზე იშვიათი იყო განქორწინების ფაქტები, ისინი მაქსიმალურად ერიდებოდნენ მრავალცოლიანობას.

აღსანიშნავია, რომ ქართველების კულტურული დონე დაბალი იყო. 11 ქართულ სოფელში სულ 2 სკოლა არსებობდა. 16.000 ფერეიდნელზე 90-120 მოსწავლე მოდიოდა. ქალები წერა-კითხვის უცოდინარნი იყვნენ, მამაკაცების მხოლოდ 20-30% იყო წიგნიერი. სკოლებში ქართულს არ ასწავლიდნენ, ისწავლებოდა მხოლოდ ფარსული ენა და ყურანი. ამიტომაც ახალგაზრდობა ფარსულს ეუფლებოდა და ნელ-ნელა ივიწყებდა მშობლიურ ენას.

ისლამის მიღების შემდეგ ფერეიდნელ ქართველებს ქართული სახელები ირანულით შეუცვალეს, დაიწყო გვარების გადაკეთებაც. მიუხედავად ამისა, ფერეიდნელები ერთმანეთს ქართული სახელებით მიმართავდნენ, ახსოვდათ თავიანთი ქართული გვარებიც.

## ფერეიდნელი ქართველები საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გეგმებში (1944-1945)

1944 წლისათვის სოფელ ზემო ახორაში ქართველებს შემორჩენილი ჰქონდათ გვარები: **იოსელიანი, გელოვანი, ლომითანი, ტუხანი;** სოფელ ბუნში — **ჩაპიანი, ასპანი;** სხვა სოფლებში — **ლაჩიკანი, გუგუნანი, ვატიანი, ონინანი, დაუთანი, ასლანიანი, ხუციანი, ყაზიანი.** ამ დროისათვის ქართულ გვარებს აღარ ჰქონდათ დაბოლოება „ძე“ და „შვილი“, ისევე, როგორც სომხურ გვარებს — დაბოლოება „იანცი“.

სიმონ ჯანაშიას ნარკვევი ფერეიდნელი ქართველების შესახებ არ გამოქვეყნებულა, თუმცა მას, როგორც თბილისში, ისე მოსკოვში, ხშირად იყენებდნენ მასალად.

*   *   *

**ირანში, ფერეიდანში მცხოვრები ქართველების სამშობლოში დაბრუნების საკითხი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ოფიციალურად არსად დაუყენებია, თუმცა საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.**

1945 წლის 15 იანვარს საბჭოთა კავშირის ელჩმა ირანში მიხაილ მაქსიმოვმა გრიფით „საიდუმლო“ წერილი გაუგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის მდივანს კანდიდ ჩარკვიანს. ელჩი კანდიდ ჩარკვიანს სთხოვდა ირანში საბჭოთა კავშირის საელჩოსათვის გაეგზავნა ქართულენოვანი წიგნები, სტატიები და ნარკვევები, ფოტოები და კლიშეები გაზეთისათვის, ასევე — იოსებ სტალინის მოკლე ბიოგრაფიის ოფიციალური გამოცემა ქართულ ენაზე. რაში უნდა დასჭირვებოდა ეს მასალა მიხაილ მაქსიმოვს თეირანში? ირკვევა, რომ ეს ყოველივე ფერეიდნელ ქართველთა შორის აგიტაციისათვის იყო განკუთვნილი.

დასრულდა ომი. **1945 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გიორგი კიკნაძე გრიფით „სრულიად საიდუმლო“ მოხსენებით ბარათს უგზავნის კანდიდ ჩარკვიანს.** მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მოსკოვში ყოფნისას, 1945 წლის 23 აგვისტოს, სახალხო კომისარმა მოხსენებითი ბარათები წარუდგინა

I. **ვიაჩესლავ მოლოტოვს:**

**1. თურქეთის შემადგენლობაში არსებული ქართული ტერიტორიების შესახებ;**

**2. თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული პროვინციების შესახებ (მოკლე ცნობა რუკასთან ერთად);**

**3. ირანში ქართველი მოსახლეობის საკითხის შესახებ.**

II. **ლავრენტი ბერიას:**

**1. თურქეთის შემადგენლობაში არსებული ქართული ტერიტორიების შესახებ;**

**2. თურქეთის მიერ მიტაცებული ქართუ-**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 111

**ლი პროვინციების შესახებ (მოკლე ცნობა რუკასთან ერთად);**

გიორგი კიკნაძე აღნიშნავს, რომ, გარდა მოხსენებითი ბარათებისა, მან ლავრენტი ბერიას გადასცა გრაფინია პრასკოვია უვაროვას რედაქციით გამოცემული ორი წიგნი, რომელთაგან ერთი გურჯისტანის ვილაეთს, ხოლო მეორე — არტაანსა და ოლთისში არქეოლოგიურ მოგზაურობას ეხებოდა.

გიორგი კიკნაძის **1945 წლის 23 აგვისტოს მოხსენებითი ბარათი ვიაჩესლავ მოლოტოვისადმი** მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. იგი სამი ნაწილისაგან შედგება და მისი შინაარსი ასეთია:

**1. შაჰ აბას I-მა ირანში 100.000 ქართველი გადაასახლა. ისპაჰანის პროვინციის ფერეიდნის რაიონში დღემდე ცხოვრობს 20.000 ქართველი, რომელთაც ირანელებთან ასიმილაცია არ განუცდიათ და დღემდე ინარჩუნებენ ქართულ ენასა და ეროვნულ ტრადიციებს. ფერეიდნის ქართული მოსახლეობა მთლიანად გაუნათლებელია, მოკლებულია სანიტარულ და სამედიცინო მომსახურებას. ირანის ადმინისტრაციის მხრიდან ქართველობა განიცდის სასტიკ შევიწროებას. შექმნილი მძიმე და საშიში ვითარების გამო ფერეიდნის ქართული მოსახლეობა განწირულია გადაშენებისათვის, თუ მას გარედან დახმარება არავინ აღმოუჩინა.**

**2. საბჭოთა საქართველოს მთავრობა მზადაა, ძმური დახმარება გაუწიოს ირანში მცხოვრებ ქართველებს: გაგზავნოს ირანში კომპლექსური ექსპედიცია, რომელშიც შევლენ ექიმები, პედაგოგები, ისტორიკოსები, ენათმეცნიერები და მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენლები, რათა ადგილზე შეისწავლონ ქართველთა მდგომარეობა. ექსპედიციას შეეძლება საქართველოსა და ირანს შორის კულტურული ურთიერთობის დამყარება. ექსპედიცია შეიმუშავებს ფერეიდნელი ქართველების დახმარებისათვის გამიზნულ ქმედით ღონისძიებებს და დააყენებს ირანიდან საქართველოში ქართველთა გადმოსახლების საკითხს, რადგან, როგორც ცნობილია, ფერეიდნელებს სამშობლოში დაბრუნების ძლიერი მისწრაფება აქვთ.**

3. ფერეიდანში მცხოვრები ქართველების შესახებ ინფორმაციის სისტემატურად მიღების მიზნით საჭიროა ისპაჰანში, საბჭოთა კავშირის საკონსულოში, იმყოფებოდეს საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, რომელიც დაიკავებდა ვიცე-კონსულის ან საკონსულოს პირველი მდივნის თანამდებობას.

გიორგი კიკნაძის შუამდგომლობამ შედეგი გამოიღო, ფერეიდანში ჩავიდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი **ა. ასლანიკაშვილი,** რომელმაც 1948 წლის 13 იანვარს ირანში მივლინების ანგარიში წარუდგინა გიორგი კიკნაძეს. ა. ასლანიკაშვილი თეირანში 1947 წლის 24 ივლისს გაემგზავრა. ფერეიდანში ყოფნისას მან შეისწავლა ქართველების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მდგომარეობა და საქართველოს მთავრობის წინაშე ფერეიდნელი ქართველების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების საკითხი დააყენა.

ა. ასლანიკაშვილმა მოხსენებით ბარათს 9 რეკომენდაცია დაურთო:

**1. ფერეიდნელი ქართველების ძირითადი მასა ფიზიკურად ჯანმრთელი, შრომისმოყვარე, პატიოსანი და მამაცი ადამიანები არიან;**

**2. ფერეიდნელმა ქართველებმა კარგად შემოინახეს მშობლიური ენა, ერთმანეთს შორის მხოლოდ ქართულად საუბრობენ და ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან ირანელებთან ასიმილაციას;**

**3. ფერეიდნელმა ქართველებმა ძირითადად კარგად იციან წინაპრების თავგადასავალი, XVII საუკუნეში საქართველოდან ირანში მათი გადასახლების ისტორია;**

**4. ფერეიდნელ ქართველებს ახასიათებთ ეროვნული სიამაყის გრძნობა, ეროვნული შეგნება გაცილებით მაღალია, ვიდრე რელიგიური;**

**5. ფერეიდნელი ქართველები ირანის სახალხო პარტიის წევრები არიან და საბჭოთა კავშირ-ირანის მეგობრობას უჭერენ მხარს;**

**6. ფერეიდნელ ქართველებს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების გულწრფელი სურვილი ამოძრავებთ. მათი ნაწილი აცხადებს, რომ, თუ ირანიდან ქართველთა სამშობლოში დაბრუნება არ მოხდება, ისინი რეპატრიანტ სომხებს შეუერთდებიან და ასე ჩამოაღწევენ საქართველოში;**

**7. არა მარტო ფერეიდნელი ქართველები, არამედ ირანის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფერეიდნელთა საქართველოში დაბრუნებას ისტორიულ აუცილებლობად მიიჩნევს;**

**8. ოფიციალური თვალსაზრისით, ქართველების ირანიდან საქართველოში დაბრუნება გაცილებით რთულია, ვიდრე სომხებისა. ამის მიზეზი ის არის, რომ სომხეთა სამშობლოში დაბრუნებით მსოფლიო საზოგადოება არის დაინტერესებული, რასაც ირანის ხელისუფლება ანგარიშს უწევს. ქართველთა სამშობლოში დაბრუნება კი მხოლოდ საქართველოს მთავრობის სურვილია, ამიტომ შეიძლება ირანის მთავრობა ფერეიდნელ ქართველთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას არ დაეთანხმოს, რასაც ორი მიზეზით ახსნის: ა) ირანის მთავრობა ფერეიდნელებს ქართველებად კი არა, ქართული წარმომავლობის სპარსელებად თვლის, რომლებიც ისლამს აღიარებენ; ბ) ფერეიდანში კვალიფიცირებული და იაფი მუშახელის სიმრავლეა. ქართველებს მისწრაფება არა აქვთ მევახშეობისა და ვაჭრობისაკენ, რაც ფართოდაა გავრცელებული ირანში. სავარაუდოა, რომ ირანის ხელისუფლება ქართველ მუშახელს არ დათმობს;**

**9. მიუხედავად ყველა სირთულისა, რომელიც შეიძლება ფერეიდნელ ქართველთა სამშობლოში დაბრუნების პროცესში წარმოიქმნას, საკითხის დადებითად გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია. საბჭოთა საქართველომ უნდა გადაწყვიტოს, გაუწვდის თუ არა ძმური დახმარების ხელს ფერეიდნელ ქართველებს — „ისტორიის ობლებს“!**

ა. ასლანიკაშვილი საქართველოს მთავრობას სთავაზობდა 1948 წელს ირანიდან სომეხთა სამშობლოში დაბრუნებით ესარგებლა და სომეხთა ნაკადთან ერთად საქართველოში გარკვეული რაოდენობის ფერეიდნელი ქართველი ჩამოეყვანა.

1948 წლის 25 მაისს გიორგი კიკნაძემ მოხსენებითი ბარათი წარუდგინა **კანდიდ ჩარკვიანს,** რომელშიც აღნიშნულია: **ა. ასლანიკაშვილის მიერ ფერეიდნელი ქართველების შესახებ გაკეთებული დასკვნები და შემუშავებული რეკომენდაციები ყურადღებას იმსახურებს და საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოები ამ მასალას შეისწავლიან.**

* * *

**ფერეიდნიდან ქართველთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების საკითხის განხილვა ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაიწყო. ამას რამდენიმე კონკრეტული მიზეზი ჰქონდა, მათ შორის უმთავრესი შემდეგია: ფერეიდნიდან ქართველთა სამშობლოში დაბრუნების საკითხი დამოუკიდებლად არ დასმულა, იგი თურქეთის შემადგენლობაში არსებული ქართული ტერიტორიის დაბრუნების პარალელურად იხილებოდა. შექმნილ ვითარებაში თურქეთმა, დიდი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო საზოგადოების აქტიური მხარდაჭერით, საქართველოსგან მიტაცებული ძირძველი ისტორიული ტერიტორიის შენარჩუნება შეძლო. იოსებ სტალინმა დასავლურ სამყაროსთან მოსალოდნელ სამხედრო კონფლიქტს და შესაძლოა, ფართომასშტაბიან ომსაც, თავი აარიდა, ამან გარკვეული სტიმული მისცა ირანს, რომლის მთავრობაც წინ აღუდგა ფერეიდნელ ქართველთა სამშობლოში დაბრუნებას. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ თურქეთის მიმართ გაწეული გარკვეული დათმობის შემდეგ ირანთან ურთიერთობა აღარ გაამწვავა და ფერეიდნელ ქართველთა სამშობლოში დაბრუნებაზე უარი თქვა. თურქეთის მხრიდან ქართული ტერიტორიების დათმობის შემთხვევაში, სავსებით რეალური იყო ფერეიდნელ ქართველთა („ისტორიის ობოლთა“), სამშობლოში დაბრუნება.**



**ვახტანგ გურული,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ტელ: 597 212 060).**

*ვულოცავთ!*

# გამორჩეული პრაქტიკოსი და მეცნიერი



ვახტანგ გორგასლისა და ღირსების ორდენების კავალერს, შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებულ მუშაკს, თადარიგის გენერალლეიტენანტს, იურიდიული და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის სპიკერს, პროფესორ **ჯემალ გახოკიძეს** 70 წელი შეუსრულდა.

ოჯახური ტრაგიზმით განზავებული მისი მრავალმხრივი სახელმწიფო-საზოგადოებრივი და სამეცნიერო—პედაგოგიური მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია სულიერი სიძლიერისა სამშობლოსა და ჭეშმარიტებისადმი ღირსეული მსახურებისა.

**პრაქტიკული საქმიანობა** — შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში კვალიფიციური გამომძიებლობა, პროფესიონალური საგამოძიებო სამსახურის ორგანიზება და შესაბამისი დეპარტამენტის თავმჯდომარეობა, მინისტრის მოადგილეობა, ქვეყნის უშიშროების მინისტრობა, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეობა და უზენაესი სასამართლოს წევრობა — ნოყიერი ნიადაგი გახდა **სამეცნიერო კვლევებისა და მეთოდური საქმიანობის** პარალელურად წარმართვისათვის. იურისპრუდენციისა და პოლიტიკის სფეროებში უმაღლესი სამეცნიერო ხარისხების მოპოვება საფუძვლად დაედო მშობლიური სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე პრაქტიკით გაჯერებული და ღრმამეცნიერული დონის ლექციების კითხვას, მოგვიანებით კი — სახელმწიფო საგამოცდო და საკვალიფიკაციო კომისიების თავმჯდომარეობას. მისი ხელმოწერით გაცემული იურისტის დიპლომები ყოველთვის ასოცირდებოდა მაღალ კვალიფიკაციასთან, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვასთან. მის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები კი, რომლებიც ძირითადად საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და პოზიტიური კანონმდებლობის სრულყოფის პრობლემებს ეხება, სტუდენტობისა და დაინტერესებული მკითხველისათვის ფასეულ შენაძენად ითვლება. თუ აღნიშნულს ისიც დაემატება, რომ იგი მსოფლიო იურისტთა ასოციაციის წევრი, საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა და სხვა სპეციალიზებული აკადემიების აკადემიკოსი, მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმირების სახელმწიფო და არასამთავრობო კომისიების აქტიური მონაწილეა, მაშინ სავსებით ლოგიკური და ბუნებრივი გახდება მისი, როგორც პრაქტიკოსი იურისტისა და ღვაწლმოსილი მეცნიერის ფართო საზოგადოებრივი აღიარება.

პროფესორი ჯემალ გახოკიძე კვლავაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს ნაყოფიერ საქმიანობას ტექნიკური უნივერსიტეტის სენატში და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტზე.

ვუსურვებთ ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს მეუღლესა და უსაყვარლეს შვილიშვილებთან ერთად.

**რომან შენგელია,**
**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კერძო სამართლის კათედრის გამგე, საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.**

# გირაოს მართვის სერვისების საუკეთესო მიმწოდებლები

**საქართველოს ეროვნულ ბანკს ავტორიტეტული საერთაშორისო გამოცემა Central Banking-ის ჯილდო გადაეცა,** — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკი ავრცელებს. ეროვნული ბანკი და კომპანია „მონტრანი“, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის (GSSS) დანერგვისთვის — „გირაოს მართვის სერვისების საუკეთესო მიმწოდებლის“ ნომინაციაში გამარჯვებულად მიმდინარე წლის დასაწყისში დასახელდნენ.

**„GSSS ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების ინტეგრირებული სისტემაა, რომელიც ეროვნულმა ბანკმა 2018 წლიდან აამოქმედა. GSSS ქვეყნის ფინანსური სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია და მისი მეშვეობით ხდება სახელმწიფო და კერძო ფასიანი ქაღალდების გამოშვება, შენახვა, დაფარვა და დაგირავება. აღსანიშნავია, რომ ფასიანი ქაღალდები საუკეთესო გირაოა როგორც ბანკთაშორისი ბაზრისთვის, ისე ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციებისთვის. შესაბამისად, სისტემის გამართულ, სწრაფ და საიმედო მუშაობას ფინანსური სტაბილურობის მხარდასაჭერად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.**

**GSSS წარმოადგენს თვისობრივად უნიკალურ ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემას. ის უზრუნველყოფს კერძო და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ოპერირებას ერთიანი მაღალტექნოლოგიური პლატფორმის ქვეშ, რომლის შეუფერხებელი ფუნქციონირებაც ეროვნული ბანკის მიერ არის გარანტირებული. ამ გზით GSSS სისტემა უმცირესი დანახარჯით აღწევს კაპიტალის ბაზრის სრულ ინტეგრაციას, მაქსიმალურ უსაფრთხოებასა და ინვესტორთა ნდობას, რაც მცირე ზომისა და რესურსების მქონე ქვეყნისთვის საუკეთესო მოდელია. Central Banking-ის დაჯილდოება საერთაშორისო ფინანსურ საზოგადოებაში ფართოდაა აღიარებული და მასში მონაწილე ბანკების მაღალ რეპუტაციასა და წარმატებულ საქმიანობაზე მიუთითებს“,** — ნათქვამია სებ-ის განცხადებაში.

# სატენდერო მოწვევა

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP)

სესხის No.: IBRD 8599 –GE

კონტრაქტის დასახელება: ლოტი 1 - საჯავახო - ჩოხატაური - ოზურგეთი - ქობულეთის საავტომობილო გზის (შ 02) კმ 35-კმ 43.6 და კმ 47.2 - კმ 48 რეაბილიტაცია, ლოტი 2 - საჯავახო - ჩოხატაური - ოზურგეთი - ქობულეთის საავტომობილო გზის (შ 02) კმ 54.0 - კმ 67.7 მონაკვეთის რეაბილიტაცია, ლოტი 3 - ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზის (შ 81) კმ 15.9 - კმ 21.4 და კმ 22.5 - კმ 24.5 მონაკვეთის რეაბილიტაცია, ლოტი 4 - ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზის (შ 81) კმ 34 - კმ 50 მონაკვეთის რეაბილიტაცია.

სატენდერო მოწვევა: SRAMP/CW/NCB-11 (ლოტი 1, ლოტი 2, ლოტი 3 და ლოტი 4)

1. საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტისთვის (SRAMP).** აღნიშნული პროექტიდან გარკვეული თანხა გამოყენებული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ასანაზღაურებლად. კონტრაქტის დასახელებაა: ლოტი 1 - საჯავახო - ჩოხატაური - ოზურგეთი - ქობულეთის საავტომობილო გზის (შ 02) კმ 35-კმ 43.6 და კმ 47.2 - კმ 48 რეაბილიტაცია, ლოტი 2 - საჯავახო - ჩოხატაური - ოზურგეთი - ქობულეთის საავტომობილო გზის (შ 02) კმ 54.0 - კმ 67.7 მონაკვეთის რეაბილიტაცია, ლოტი 3 - ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზის (შ 81) კმ 15.9 - კმ 21.4 და კმ 22.5 - კმ 24.5 მონაკვეთის რეაბილიტაცია, ლოტი 4 - ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზის (შ 81) კმ 34 - კმ 50 მონაკვეთის რეაბილიტაცია.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ქვემდებარეობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად. სამუშაოების განხორციელების პერიოდია **ლოტი 1 – 12 თვე, ლოტი 2 – 16 თვე, ლოტი 3 - 10 თვე და ლოტი 4 - 18 თვე.**

3. სამუშაოების სავარაუდო ღირებულებაა **ლოტი 1 –9,088,855 ლარი, ლოტი 2 –12,048,528 ლარი, ლოტი 3 - 7,311,857 ლარი და ლოტი 4 - 18,206,761 ლარი** ყველა გადასახადის, ბაჟის და სახელმწიფო მოსაკრებლის ჩათვლით ITB - 14.7 ქვეთავის შესაბამისად. შეთავაზების ავტორმა უნდა წარმოადგინოს შეთავაზება არსებული საბაზრო ფასების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს შემოთავაზებული სამუშაოების ფასწარმოქმნაზე.

4. პრეტენდენტებს შეუძლიათ თავიანთი შეთავაზება წარმოადგინონ ერთ ან რამდენიმე ლოტისთვის, როგორც ეს არის განსაზღვრული სატენდერო დოკუმენტაციით. პრეტენდენტებს, რომლებთაც სურთ ფასდაკლების შეთავაზება იმ შემთხვევაში, თუკი მათ ერთზე მეტი კონტრაქტი მიენიჭებათ, აქვთ ამის უფლება, თუ ეს ფასდაკლება აღნიშნული იქნება სატენდერო წინადადებაში.

5. სამუშაოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში)" და ხელმისაწვდომია ყველა უფლებამოსილი პრეტენდენტისთვის როგორც ეს განსაზღვრულია შესყიდვების სახელმძღვანელოთი. დამატებით, გთხოვთ იხელმძღვანელოთ 1.6 და 1.7 პუნქტებით, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო ბანკის პოლიტიკას ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

6. დაინტერესებულ უფლებამოსილ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტის მიღება შეუძლიათ ინგლისურ ენაზე:

- ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარმოადგინონ წერილობითი მოთხოვნა სატენდერო დოკუმენტაცის მისაღებად ტენდერისთვის: SRAMP/CW/NCB-11 (ლოტი 1, ლოტი 2, ლოტი 3 და ლოტი 4): ლოტი 1 - საჯავახო - ჩოხატაური - ოზურგეთი - ქობულეთის საავტომობილო გზის (შ 02) კმ 35-კმ 43.6 და კმ 47.2 - კმ 48 რეაბილიტაცია, ლოტი 2 - საჯავახო - ჩოხატაური - ოზურგეთი - ქობულეთის საავტომობილო გზის (შ 02) კმ 54.0 - კმ 67.7 მონაკვეთის რეაბილიტაცია, ლოტი 3 - ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზის (შ 81) კმ 15.9 - კმ 21.4 და კმ 22.5 - კმ 24.5 მონაკვეთის რეაბილიტაცია, ლოტი 4 - ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზის (შ 81) კმ 34 - კმ 50 მონაკვეთის რეაბილიტაცია.
- სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ.
- მონაწილეები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ელექტრონული ფორმით, ელ-ფოსტის საშუალებით. დამკვეთი არ იღებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევისათვის, თუკი ადრესატი ვერ მიიღებს დოკუმენტაციას.

7. პრეტენდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიარონ საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

***ლოტი 1***

a. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2017,2018,2019) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ **9 000 000 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებისაგან, გაყოფილი 3-ზე;

b. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ **1 500 000 ლარის** ოდენობით;

c. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2015 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** მინიმუმ ერთ (1) კონტრაქტს, ღირებულებით არანაკლებ **7 300 000 ლარი** ან ორ (2) კონტრაქტს, თითოეული ღირებულებით არანაკლებ **3 650 000** ლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების 80% ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;

d. მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად აქტივობებში:

- 2015 წლის 1 იანვრიდან განცხადების მიღების თარიღამდე რომელიმე ერთ წელს არანაკლებ 50 000 მ² ასფალტის საფარის სამუშაოები;

*e. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის III ნაწილში – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი.*

***ლოტი 2***

a. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2017,2018,2019) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ **12 000 000 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებისაგან, გაყოფილი 3-ზე;

b. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ **1 500 000 ლარის** ოდენობით;

c. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2015 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** მინიმუმ ერთ (1) კონტრაქტს, ღირებულებით არანაკლებ **9 600 000 ლარი** ან ორ (2) კონტრაქტს, თითოეული ღირებულებით არანაკლებ **4 800 000** ლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების 80% ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;

d. მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად აქტივობებში:

- 2015 წლის 1 იანვრიდან განცხადების მიღების თარიღამდე რომელიმე ერთ წელს არანაკლებ 57 000 მ² ასფალტის საფარის სამუშაოები;

*e. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის III ნაწილში – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი.*

***ლოტი 3***

a. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2017,2018,2019) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ **7 300 000 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებისაგან, გაყოფილი 3-ზე;

b. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ **1 500 000 ლარის** ოდენობით;

c. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2015 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** მინიმუმ ერთ (1) კონტრაქტს, ღირებულებით არანაკლებ **5 900 000 ლარი** ან ორ (2) კონტრაქტს, თითოეული ღირებულებით არანაკლებ **2 950 000** ლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების 80% ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;

d. მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად აქტივობებში:

- 2015 წლის 1 იანვრიდან განცხადების მიღების თარიღამდე რომელიმე ერთ წელს არანაკლებ 40 000 მ² ასფალტის საფარის სამუშაოები;

*e. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის III ნაწილში – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი.*

***ლოტი 4***

a. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2017,2018,2019) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ **18 200 000 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებისაგან, გაყოფილი 3-ზე;

b. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ **2 050 000 ლარის** ოდენობით;

c. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2015 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** მინიმუმ ერთ (1) კონტრაქტს, ღირებულებით არანაკლებ **14 600 000 ლარი** ან ორ (2) კონტრაქტს, თითოეული ღირებულებით არანაკლებ **7 300 000** ლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების 80% ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;

d. მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად აქტივობებში:

- 2015 წლის 1 იანვრიდან განცხადების მიღების თარიღამდე რომელიმე ერთ წელს არანაკლებ 66 000 მ² ასფალტის საფარის სამუშაოები;

*e. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის III ნაწილში – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი.*

**ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს სპეციფიკურ მოთხოვნებს რომლებიც მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციის მესამე ნაწილში: *სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი.***

**იმ შემთხვევისთვის, თუ პრეტენდენტი სატენდერო წინადადებას წარმოადგენს ერთზე მეტ ლოტზე (individualur კონტრაქტზე) შეფასების პროცედურები აღწერილია სატენდერო დოკუმენტაციის III ნაწილის – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი, 2.2 და 2.6 ქვეპუნქტში.**

8. სატენდერო წინადადებები უნდა იქნეს წარმოდგენილი ქვემოთ მითითებულ მისამართზე **2020 წლის 07 ოქტომბრის 15:00 საათამდე.** წინადადებების ელექტრონულად წარმოდგენა დაუშვებელია. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ მიიღება. სატენდერო წინადადებები გაიხსნება**2020 წლის 07 ოქტომბერს, 15:00 საათზე** პრეტენდენტების წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვავენ დასწრების სურვილს.

9. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში. ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

10. დამკვეთის მისამართი სატენდერო წინადადებების წარმოდგენისათვის:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი:

საერთაშორისო შესყიდვების სამსახური, მე-4 სართული,
ალ. ყაზბეგის გამზირი 12, 0160 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: + (995 322) 37-05-08
ფაქსი: + (995 322) 31-30-34
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# INVITATION FOR BIDS

**Borrower:** GEORGIA

**Project:** Secondary Road Asset Management Project (SRAMP)

**Credit/Loan No.** IBRD 8599-GE

**Contract Title:** Procurement of <u>Lot 1</u> – Rehabilitation of Sajavakho-Chokhatauri-Ozurgeti-Kobuleti Road (sh02) km 35- km 43.6 and km 47.2- km 48, <u>Lot 2</u> – Rehabilitation of Sajavakho-Chokhatauri-Ozurgeti-Kobuleti Road (sh02) km 54.0- km 67.7, <u>Lot 3</u> - Rehabilitation of Chokhatauri – Bakhmaro (sh81) road section 15.9- km 21.4 and km 22.5 - km 24.5, <u>Lot 4</u> - Rehabilitation of Chokhatauri – Bakhmaro (sh81) road section km 34 - km 50

**Reference No.:** SRAMP/CW/NCB-11 (Lot 1, Lot 2, Lot 3 and Lot 4)

1. Georgia has received financing from the World Bank toward the cost of the **Secondary Road Asset Management Project (SRAMP)**, and intends to apply part of the proceeds toward payments under the contracts for **Procurement of Lot 1 – Rehabilitation of Sajavakho-Chokhatauri-Ozurgeti-Kobuleti Road (sh02) km 35- km 43.6 and km 47.2- km 48, Lot 2 – Rehabilitation of Sajavakho-Chokhatauri-Ozurgeti-Kobuleti Road (sh02) km 54.0- km 67.7, Lot 3 - Rehabilitation of Chokhatauri – Bakhmaro (sh81) road section 15.9- km 21.4 and km 22.5 - km 24.5, Lot 4 - Rehabilitation of Chokhatauri – Bakhmaro (sh81) road section km 34 - km 50.**

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids for execution of rehabilitation works. Implementation period for execution of rehabilitation works is **Lot 1 – 12 months, Lot 2 – 16 months, Lot 3 - 10 months and Lot 2 - 18 months.**

3. The estimated cost of proposed works is **Lot 1 – GEL 9,088,855, Lot 2 – GEL 12,048,528, Lot 3 - GEL 7,311,857 and Lot 4 - GEL 18,206,761** including all taxes, duties and other governmental levies as elaborated under clause ITB - 14.7. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors, which may influence the pricing of the proposed works.

4. The Bidders may bid for one or any combination of lots, as further defined in the bidding document. The Bidders wishing to offer discounts in case they are awarded more than one contract will be allowed to do so provided those discounts are included in the Letter of Bid.

5. Bidding will be conducted through the National Competitive Bidding procedures as specified in the World Bank's <u>Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers</u> January 2011, revised July 2014 ("Procurement Guidelines"), and is open to all eligible bidders as defined in the Procurement Guidelines. In addition, please refer to paragraphs 1.6 and 1.7 setting forth the World Bank's policy on conflict of interest.

6. To obtain a complete set of bidding documentation in English language, the interested eligible bidders' should:

- write to address below requesting the Bidding Documents for <u>SRAMP/CW/NCB-11 (Lot 1, Lot 2, Lot 3 and Lot 4): Procurement of Lot 1 – Rehabilitation of Sajavakho-Chokhatauri-Ozurgeti-Kobuleti Road (sh02) km 35- km 43.6 and km 47.2- km 48, Lot 2 – Rehabilitation of Sajavakho-Chokhatauri-Ozurgeti-Kobuleti Road (sh02) km 54.0- km 67.7, Lot 3 - Rehabilitation of Chokhatauri – Bakhmaro (sh81) road section 15.9- km 21.4 and km 22.5 - km 24.5, Lot 4 - Rehabilitation of Chokhatauri – Bakhmaro (sh81) road section km 34 - km 50;</u>
- The Bidding Documents will be provided in an electronic format, free of charge;

The Bidding Document will be sent by e-mail. No liability will be accepted for delivery failure.

7. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

<u>Lot 1</u>

a. Minimum average annual construction turnover of **GEL 9,000,000** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within **the last 3 years (2017, 2018, 2019), divided by 3;**

b. Access to, or availability of, financial resources such as liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means, other than any contractual advance payments to meet the following cash-flow requirement: **GEL 1,500,000;**

c. Participation as a JV member, contractor, management contractor, or subcontractor, in at least one (1) similar contract with a minimum value of **GEL 7,300,000** or two (2) similar contracts with a minimum value of **GEL 3,650,000** of each contract that have been successfully and substantially completed and that are similar to the proposed Works between 1st January 2015 and bid submission deadline;

d. A minimum construction experience in the following key activity: **Asphalt pavement** - at least **50,000 m$^2$** completed in any consecutive 12 months period between 1st January 2015 and bid submission deadline;

e. Additional Qualification Criterion for Bidder's Available Annual Capacity as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

<u>Lot 2</u>

a. Minimum average annual construction turnover of **GEL 12,000,000** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within **the last 3 years (2017, 2018, 2019), divided by 3;**

b. Access to, or availability of, financial resources such as liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means, other than any contractual advance payments to meet the following cash-flow requirement: **GEL 1,500,000;**

c. Participation as a JV member, contractor, management contractor, or subcontractor, in at least one (1) similar contract with a minimum value of **GEL 9,600,000** or two (2) similar contracts with a minimum value of **GEL 4,800,000** of each contract that have been successfully and substantially completed and that are similar to the proposed Works between 1st January 2015 and bid submission deadline;

d. A minimum construction experience in the following key activities:

- **Asphalt pavement** - at least 57,000 m$^2$ completed in any consecutive 12 months period between 1st January 2015 and bid submission deadline;

e. Additional Qualification Criterion for Bidder's Available Annual Capacity as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

<u>Lot 3</u>

a. Minimum average annual construction turnover of **GEL 7,300,000** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within **the last 3 years (2017, 2018, 2019), divided by 3;**

b. Access to, or availability of, financial resources such as liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means, other than any contractual advance payments to meet the following cash-flow requirement: **GEL 1,500,000;**

c. Participation as a JV member, contractor, management contractor, or subcontractor, in at least one (1) similar contract with a minimum value of **GEL 5,900,000** or two (2) similar contracts with a minimum value of **GEL 2,950,000** of each contract that have been successfully and substantially completed and that are similar to the proposed Works between 1st January 2015 and bid submission deadline;

d. A minimum construction experience in the following key activity:

- **Asphalt pavement** - at least **40,000 m$^2$** completed in any consecutive 12 months period between 1st January 2015 and bid submission deadline;

e. Additional Qualification Criterion for Bidder's Available Annual Capacity as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

<u>Lot 4</u>

a. Minimum average annual construction turnover of **GEL 18,200,000** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within **the last 3 years (2017, 2018, 2019), divided by 3;**

b. Access to, or availability of, financial resources such as liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means, other than any contractual advance payments to meet the following cash-flow requirement: **GEL 2,050,000;**

c. Participation as a JV member, contractor, management contractor, or subcontractor, in at least one (1) similar contract with a minimum value of **GEL 14,600,000** or two (2) similar contracts with a minimum value of **GEL 7,300,000** of each contract that have been successfully and substantially completed and that are similar to the proposed Works between 1st January 2015 and bid submission deadline;

d. A minimum construction experience in the following key activities:

- **Asphalt pavement** - at least **66,000 m$^2$** completed in any consecutive 12 months period between 1st January 2015 and bid submission deadline;

e. Additional Qualification Criterion for Bidder's Available Annual Capacity as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

<u>In case the bidder applies to the bidding as a Joint Venture, please refer to the specific requirements for Joint Venture partners in the Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.</u>

<u>In case, the bidder applies for more than one lot (individual contract) the Multiple Contracts evaluation procedure is described under sub-paragraph 2.2 and 2.6 of Section III - Evaluation and Qualification Criteria.</u>

8. The Bids must be delivered at the address below on or before **October 07, 2020, 15:00 hours local time.** Electronic bidding will not be permitted. Late bids will be rejected. Bids will be publicly opened in the presence of the bidders' designated representatives and anyone who choose to attend at the address below on **October 07, 2020, 15:00 hours local time.**

9. All bids must be accompanied by a Bid-Securing Declaration. Bid Security Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid. For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB shall be grounds for bid rejection.

10. The Employer's address for the purpose of Bid submission is:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
International Procurement Division, IV Floor
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 322) 37-05-08
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge



## ისრაელი უნდა დავიცვათ

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის ყოფნის ერთადერთი მიზეზი ისრაელის დაცვის სურვილი შეიძლება იყოს.**

ჩრდილოეთ კაროლინას შტატში სიტყვით გამოსვლისას დონალდ ტრამპი აშშ-ის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობის საკითხს შეეხო.

**„ჩვენ არ გვსურს ენერგორესურსების შესყიდვა. ამას წლების განმავლობაში ვაკეთებდით. მსურს, რომ ენერგეტიკულად დამოუკიდებელნი ვიყოთ. ვიდრე აშშ-ის პრეზიდენტი ვარ, აშშ ნავთობისა და გაზის ნომერ პირველი მწარმოებელი დარჩება. საქმე ის არის, რომ ჩვენ ახლო აღმოსავლეთში ყოფნის საჭიროება არ გვაქვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისრაელი უნდა დავიცვათ“,** – აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა.

## მინსკში მაქსიმ ზნაკი დააკავეს



**სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა ნიღბიანმა პირებმა ბელარუსის ოპოზიციის საკოორდინაციო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, იურისტი მაქსიმ ზნაკი უცნობი მიმართულებით წაიყვანეს.**

ზნაკი ვიქტორ ბაბარიკოს შტაბიდან წაიყვანეს. მისი ადვოკატის თქმით, დაკავების მიზეზი უცნობია, ოპოზიციონერის სახლში კი ჩხრეკა მიმდინარეობს. მაქსიმ ზნაკი პრეზიდიუმის ერთადერთი აქტიური წევრი იყო. დანარჩენები ან დააკავეს, ან ბელარუსიდან იძულებით გაიყვანეს, ან ქვეყანა თავისი ნებით დატოვეს.

7 სექტემბერს მინსკში პრეზიდიუმის კიდევ ერთი წევრი, ოპოზიციის ლიდერი მარია კოლესნიკოვა გაიტაცეს. მეორე დღეს მისი უკრაინაში იძულებით გადაყვანა სცადეს, მაგრამ მან საზღვარზე თავისი პასპორტი დახია. ამის შემდეგ ქალი დააკავეს. მისი ადგილმდებარეობა უცნობია.

## ავღანეთში ვიცე-პრეზიდენტს თავს დაესხნენ

**ავღანეთის ვიცე-პრეზიდენტ ამრულა სალეჰზე თავდასხმის შედეგად გარდაცვლილთა რიცხვი 10-მდე გაიზარდა. ადგილობრივი მედიის ცნობით, დაშავებულია კიდევ 16 ადამიანი. „თალიბანი“ აფეთქებაზე პასუხისმგებლობას არ იღებს.**

ამრულა სალეჰის პრესსპიკერი აცხადებს, რომ ვიცე-პრეზიდენტი აფეთქებას უვნებელი გადაურჩა. ამასთან, ვიცე-პრეზიდენტის ოფისში განმარტავენ, რომ ქაბულში ერთ-ერთ ავტომაგისტრალზე სალეჰის კორტეჟის გავლისას გზის პირას ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა.



**რაგბი ჩვენი თამაშია!**

# მთავარია... მთავრობა!

**ამ ცოტა ხნის წინათ პანიკიორებმა და ურწმუნო თომებმა ქართულ რაგბიში შექმნილი ხანმოკლე კრიზისით ისარგებლეს და ერთი ამბავი ატეხეს — ნახეთ, თაობათა ნაშენები შენობა თავზე გვენგრევაო. ბუნებრივია, მათ მხედველობაში ჰქონდათ კორონავირუსის პანდემიის გამო იძულებით გადავადებული ეროვნული ჩემპიონატის სტარტი, რომელიც ზე-10-დან ზე—12-ად ტრანსფორმირდა და, რაც მთავარია, საქართველოს რაგბის კავშირის რამდენჯერმე გადადებული საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის მოწვევა, რომელსაც სრკ-ის ახალი პრეზიდენტი უნდა დაესახელებინა.**



ადვილი მისახვედრია, რომ ქართული სარაგბო თემის უმაღლეს იერარქთა გადაწყვეტილება სისხლხორცეულად უკავშირდება „ბორჯღალოსანთა“ პერსპექტივას, რომელთაც, თუ კიდევ ერთხელ არ აირია მონასტერი და იაპონიამ არ „იცელქა“, შემოდგომა-ზამთრის მიჯნაზე ექვსი ერიდან რვა ერად რეინკარნირებულ უაღრესად პრესტიჟულ ტურნირში უწევთ დებიუტი, სადაც მეტოქეობას ელიტურ ინგლისს, უელსსა და ირლანდიას გაუწევენ.

როგორც ვვარაუდობდით, ბიძინა ივანიშვილისა და ბანკ „ქართუს“ მიერ ფეხზე დაყენებული სარაგბო ინფრასტრუქტურის მსგავსად, მმართველმა პარტიამ ამჯერადაც ითამაშა მაშველი რგოლის როლი და პრემიერ-მინისტრ გიორიგი გახარიას რეზიდენციაში გამართულ შეხვედრაზე დროებითი შეფერხებების დასაძლევად კონკრეტული ღონისძიებები დაისახა.

ასე რომ, ჩასაფრებულები, უკვე მერამდენედ, პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ.

ამასობაში გაირკვა, რომ ჯერ კიდევ 14 მარტიდან კორონავირუსის პანდემიის გამო გადმოტანილი რაგბი ევროპის ჩემპიონატის უმოტივაციო ბოლო ტურის მატჩი საქართველო — რუსეთი თბილისში 1 ნოემბერს 15 საათზე დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა გუნდმა ეს ტურნირი ვადამდე მოიგო.

**კობა კობახიძე**

**გენერალური რეპეტიცია**

# ვისწავლოთ შეცდომებზე!

**მეორე ერთა ლიგის სტარტზე ტალინში ესტონელებთან მოპოვებულმა გამარჯვებამ, ეტყობა, დათვური სამსახური გაუწია როგორც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, ისე მის თავკაცს ვლადიმირ ვაისს, რომლებმაც თბილისში ჩრდილომაკედონიელებთან გამართულ შეხვედრაში ჯგუფში გალიდერების ჩინებული შანსი გაუშვეს ხელიდან.**

მათ შეცდომებს ცარიელ ტრიბუნებთან ერთად კოკისპირული წვიმის შედეგად წყალბურთის სარბიელს მიმსგავსებული გაზონიც დაემატა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა კიდეც ძვირფასი ქულების დაკარგვა — 1:1.

მოგეხსენებათ, რომ არსებობს საფუძვლიანი ალბათობა, ეს გუნდები ერთმანეთს აღნიშნული ტურნირის პირველი გათამაშების ფინალშიც შეებან ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი რაუნდის სანუკვარი საგზურის მოსაპოვებლად, ამიტომ ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ მომავალი დიდი ჯახის ერთგვარ გენერალურ რეპეტიციას ვადევნეთ თვალი. სწორედ ამიტომაცაა დასანანი, 65-ე წუთიდან მოედანზე 10 კაცით დარჩენილ მეტოქეს რომ ვერ მოვუგეთ. თითქმის ნახევარ საათში ყრუ დაცვაზე გადასულ სტუმართა კართან სამიოდე მომენტის შექმნა (მატჩის უდავოდ საუკეთესო მოთამაშე, მასპინძელთა კაპიტანი **კანკავა** და ორჯერ — **შენგელია**), დაგვეთანხმებით, ძალიან ცოტაა ელიტაში მოხვედრაზე მეოცნებე ნაკრებისთვის.

არადა, წინა მატჩის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში მომხდარი სამი ცვლილების მიუხედავად (ჯილაური, კაჭარავა და ჩაკვეტაძე საბედისწერო შეცდომის დამშვებმა მალიმ, ქვილითაიამ და დავითაშვილმა ჩაანაცვლეს) ბრძოლა ყოჩაღად დავიწყეთ და მას შემდეგ , რაც კვარაცხელიას საფირმო დრიბლინგს ოქრიაშვილის ზუსტად შესრულებული პენალტი მოჰყვა, დავწინაურდით კიდეც — 1:0.

სწორედ კრიტიკულ ვითარებაში გამოჩნდა ბალკანელთა მაღალი კლასი — მათი უმეტესობა ხომ, ჩვენგან განსხვავებით, ძლიერ ევროპულ კლუბებში თამაშობს. მათ შორის კვლავაც გამოირჩევა 37(!) წლის უბერებელი სოლისტი გორან პანდევი, რომლის ფილიგრანულ გადაცემასაც მოჰყვა 33-ე წუთზე რისტოვსკის საპასუხო გოლი — 1:1.

მართალია, მინდვრიდან მუსიალის გაძევებით გათამამებული ვაისი ვა ბანკზე წავიდა და დაგვიანებული ცვლილებებით მოიერიშეთა რიცხვი ხუთამდე გაზარდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, რაოდენობა ყოველთვის არ ნიშნავს ხარისხს.

სამწუხაროდ, ამჯერადაც ასე მოხდა.

სომხეთი — ესტონეთი 2:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** ჩრდ. მაკედონია, საქართველო — 4-4, სომხეთი — 3, ესტონეთი — 0 ქულა.

**11 ოქტომბერს ითამაშებენ:** სომხეთი — საქართველო, ესტონეთი — ჩრდილოეთ მაკედონია, ხოლო მანამდე — **8 ოქტომბერს** პირველი ერთა ლიგის საეტაპო მნიშვნელობის პლეი-ოფებია: საქართველო — ბელარუსი, ჩრდ. მაკედონია — კოსოვო.

* * *

**იმავე დღეს ვასილ მაისურაძის გაწვრთნილმა ჩვენმა 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა თანატოლთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის მორიგი მატჩი სტუმრად ლიხტენშტაინის ნაკრებს მოუგეს — 2:0 (სპანდერაშვილი, სამურკასოვი) და 9 ქულით მესამე ადგილზე დამკვიდრდნენ.**

**გიორგი შოთაძე**

**ლეგიონერები**

# სტაბილურად – ძირითადში!

**მართალია, ევროლიგის მოქმედი ჩემპიონი ცსკა უძლიერესი შემადგენლობით გამოირჩევა და მის მწვრთნელებს თამამად შეუძლიათ როტაციას მიმართონ, მაგრამ არმიელთა დებიუტანტ თორნიკე შენგელიას პოზიციები ჯერჯერობით ურყევია და იგი სისტემატურად იწყებს თამაშს სასტარტო ხუთეულში.**

ასე მოხდა პრინციპულ მეტოქესთან — სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან“ სპარინგშიც, რომელიც მოსკოველთა ზედიზედ მეოთხე გამარჯვებით დასრულდა — 78:72. „ჯვაროსანთა“ კაპიტნის მონაგარი ამჯერად ასეთი გახლდათ: 24 წუთში 7 ქულა და 2-2 მოხსნა-ჩაჭრა.

აღსანიშნავია, რომ წლეულს პირველად დიმიტრის იტუდისის გუნდი საწყისი პერიოდის შემდეგ მდევრის როლში აღმოჩნდა — 17:29, მაგრამ დასკვნით მეოთხედში გამთამაშებელ მაიკ ჯეიმსის (23 ქულა) ძალისხმევით საწადელს მაინც მიაღწია.

მეხუთე სპარინგი ცსკა-მ უკვე მეორედ მოუგო „ხიმკის“ — 101:71. „თოკომოტივმა “ 18 წუთში 4 ქულა, 2 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი მოაგროვა, თანაც თამაში ისევ სასტარტო ხუთეულში დაიწყო, ხოლო პარტნიორებს ამჯერადაც მაიკ ჯეიმსმა ულიდერა — 25 ქულა. დღეს არმიელები სანკტ პეტერბურგში ყაზანის „უნიქსს“ შეხვდებიან.

**ამასობაში** წინასასეზონო მზადებას განაგრძობენ ესპანეთში მოთამაშე ქართველი ლეგიონერებიც. გაუწყებთ მათი მორიგი საწვრთნელი მატჩების შედეგებსა და ჩვენებურთა პირად მონაგარს:

„გრან კანარია“ — „ესტუდიანტესი“ 94:83. **ბექა ბურჯანაძე** — 13 ქულა და 2 მოხსნა (18 წუთში); „გრან კანარია“ — „ფუენლაბრადა“ 87:90. **ბექა ბურჯანაძე** — 17 წუთში 6 ქულა და 2 პასი.

„ტენერიფე“ — „ფუენლაბრადა“ 84:89. **გიორგი შერმადინი** — 20 ქულა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ქომაგის მეგზური**

# სათაურიც წაგაკითხებთ

**ყველანი ვთანხმდებით, რომ ქართული ფეხბურთის აკვანი ტალანტების სამჭედლოში — ზღვისპირეთში დაირწა, უფრო კონკრეტულად, ბევრის აზრით — ფოთში, ზოგ-ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ — ბათუმში, თუმცა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ისეთნიც მოიძებნებიან, ვინც უპირატესობას სოხუმს მიანიჭებს. ჰოდა, იდავონ, ჭეშმარიტება ხომ კამათში იბადება, მთავარია, ფესვებს არ მოვწყდეთ.**

ამ და კიდევ მრავალ საინტერესო საკბილოს წააწყდება გულშემატკივარი შპს „მწიგნობარის“ სტამბაში დაბეჭდილი ჭეშმარიტად სამაგიდო კრებულის „სათავიდან მწვერვალამდე“ (ნოსტალგია დიდ ქართულ ფეხბურთზე) ფურცლებზე, რომელმაც დღის სინათლე კალმოსანთა ძველი გვარდიის ღირსეულ წარმომადგენელთა, მეგობარ კოლეგათა — ოთარ (რიჩო) გაგუასა (ავტორი) და ალექსანდრე შენგელიას (რედაქტორი)- შემოქმედებითი თანამშრომლობით იხილა (სხვათა შორის, მისი სათაური ამ უკანასკნელს ეკუთვნის).

წიგნიერ მკითხველში ინტრიგას პირველივე ნარკვევის პერსონაჟთა შესანიშნავი შვიდეული აღძრავს, რომლის შესახებაც გაზეთ „თბილისის“ ღვაწლმოსილი ჟურნალისტი თავისი ახალი პირმშოს წინათქმაში აღნიშნავს: **„თხრობას ამ ნარკვევით რომ ვიწყებ და მთავარი პერსონაჟები ალექსანდრე (შურა) დოროხოვი, მიშა ასლამაზოვი, ბორის ფროლოვი, კუკო ფეხლევანიდი, ნიაზ ძიაფშ-იფა, ზაურ კალოევი და კიდევ ერთი „ქართველი“ სერგო შუდრაა, ნათელი დასტურია იმისა, რომ ხელოვნებას საზღვრები არა აქვს“**... დასტურ!

როგორც წინა ნაშრომებში, თანამემამულეთა საეტაპო მნიშვნელობის წარმატებათა უშუალო თვითმხილველი ამჯერადაც წარმატებით ახერხებს კეისარს კეისრისა მიაგოს და ჩვეული პროფესიონალიზმით გვახსენებს როგორც ტყავის ბურთის დიდოსტატებს, ისე სახელოვან მწვრთნელებსა და თანამშრომლებს რედაქტორის, როგორც მას უწოდებდნენ, რედაქციის ტვინის **ოთარ იოსელიანის** თამადობით, მაგრამ, ვფიქრობთ, არანაკლები ინტერესითა და ადვილად გასაგები სევდით გაეცნობით ნარკვევს „გაზაფხული ლესელიძიდან იწყება“.

თითქოს, შეგვეძლო აქ დაგვესვა წერტილი, მაგრამ, თქვენის ნებართვით, განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ ავტორისადმი იმ მიღწევის გაცოცხლებისათვის, რომელიც ევროპული დებიუტის ტოლფასია.

საუბარია 1974 წელს პოლონეთის ქალაქ ლოძში გამართულ ოთხთა საერთაშორისო ტურნირზე მუშათა გაზეთების პრიზზე, რომელშიც პირველად მონაწილეობდნენ 1957 წელს დაბადებული ქართველი ჭაბუკები: **კარლო მჭედლიძე, კარლო ნიკოლაიშვილი, გიორგი ჭილაია, ვოვა ბეზნიკინი, თენგიზ ანასაშვილი** (კაპიტანი), **აბესკურ ბახმალოვი, ტრისტან ჯავახაძე, როლანდ ცუცქირიძე, ვალერი ვლაშჩენკო, ოლეგ მუშკუდიანი, მერაბ გოგოხია, ვიტალი დარასელია (სამწუხაროდ, მან ვარჯიშზე მიღებული ტრავმის გამო ვერ ითამაშა), მალხაზ ჩაჩხიანი, გია ქუმსიაშვილი, ნოდარ თვაური, კოტე ომიაძე, სოსო გილაური**. მომავალი ჩემპიონები მოამზადეს რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელებმა **თ. კუბლაშვილმა** და **ა. ვარდიაშვილმა,** ხოლო გუნდის უფროსი გახლდათ ფიზაღზრდის მეთოდისტი **ზ. ჩხობაძე**.

დაძმობილებული ქალაქების (თბილისი, ჩეხური პლზენი, გერმანული კარლ-მარქს-შტადტი და პოლონური ლოძი) ნიჭიერ ყმაწვილთა ასპარეზობის დიდ მნიშვნელობას ადასტურებდა ის ფაქტი, რომ ჩვენს დელეგაციას თვით ლეგენდარული **ბორის პაიჭაძე** ხელმძღვანელობდა.




ამიტომაცაა საამაყო ის ტრიუმფი, რომლითაც ქართველმა ბიჭებმა აღნიშნეს საბრძოლო ნათლობა. მათ სამივე მეტოქე დაჯაბნეს: გერმანელები — 4:1 (ვლაშჩენკო — 2, გილაური — 2), ჩეხები — 1:0 (გილაური), მასპინძლები — 3:1 (გილაური, ჩაჩხიანი, ვლაშჩენკო) და ქულათა მაქსიმუმით, თანაც ბურთების შესანიშნავი შეფარდებით — 8:2 სამშობლოში ულამაზესი მეგობრობის თასით დაბრუნდნენ.

დავძენთ, რომ ამ დაუმსახურებლად მივიწყებული ტურნირის საუკეთესო მეკარედ **კარლო მჭედლიძე** დაასახელეს, ხოლო საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი 4 გოლით **სოსო გილაური** გახდა.

**მანუჩარ გიორგაძე**

## ნუთუ ეს სინამდვილეა?!

# ორეულები

**დღევანდელ მსოფლიოში, როდესაც კორონაეპიდემიამ ცხოვრება მარტის თოვლჭყაპიანი დღეებივით არივდარია, ზოგჯერ ისეთ რამეს გაიგებ, თმა ყალყზე დაგიდგება. კაცი შეიძლება გაგიჟდე კიდეც, როცა ერთი ჟურნალისტური გამოკვლევიდან შეიტყობ, რომ თავადაც გიჟად და დამთხვეულად მონათლულ მიშა სააკაშვილს თურმე ორეული ჰყოლია, ეს ჩვენი ნაცბელადად აღიარებული მავნებელი მიშიკო, რომელიც უკრაინიდან საქართველოში დაბრუნება-გახელმწიფებით გვემუქრება, თურმე თავად მიშიკო კი არა, მისი ორეული ყოფილა.**

კი მაგრამ, იტყვით თქვენ, იმ ჟურნალისტს ამ სისულელის გასასაღებლად რაიმე მტკიცებულება გააჩნია? რა თქმა უნდა, გამაჩნიაო, აცხადებს ავტორი ომახიანად და ამის დასტურად უკრაინის ტელევიზიით ამას წინათ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ სკანდალურ განცხადებას იშველიებს, სადაც ნიკალაევიჩი ჩადენილ ცოდვებს ინანიებს და ქართველ ხალხს ბოდიშს უხდის მისი მმართველობის წლებში ქვეყანაში ჩადენილი დიდი შეცდომებისთვის. თქვენ როგორ ფიქრობთ, კაცი, რომელსაც თავი ყვავ-ყორნებთან მებრძოლ გმირად წარმოუდგენია, ასეთი სინაზით ბოდიშების მომხდელიაო? — სვამს კითხვას და თავადვე უპასუხებს: არავითარ შემთხვევაში, უძლეველი ვაჟკაცობის მანიით შეპყრობილი ნიკალაევიჩი ასეთ სიმხდალეს არ ჩაიდენდაო.

ავტორი თავის სიმართლეში იმან უფრო დაარწმუნა, რომ სააკაშვილს, რომელიც ბიძინა ივანიშვილის გინება-განქიქებაში ათენ-აღამებს, ამჯერად ის ერთხელაც არ უხსენებია. ამ ფაქტმა ჟურნალისტს კიდევ უფრო გაუღვივა ეჭვი, რომ მონანიება-მობოდიშების ავტორი თავად სააკაშვილი კი არა, მისი ორეულია.

კეთილი და პატიოსანი. ის მიშა, რომელიც უკრაინიდან მუშტმოღერებული გვემუქრება, ვთქვათ, მართლაც მიშას ორეულია, მაგრამ მაშინ სად არის თავად ნამდვილი მიშა? ჟურნალისტის მტკიცებით ნამდვილი მიშა არსადაც არ წასულა, ის საქართველოშია და ყვარლის მახლობლად ადრე შეძენილ მამულში იმალება. ამაში პირადად დარწმუნდა, როცა კახეთს გაემგზავრა, ყვარლის ტბის პირას დაბანაკდა, ჭოგრიტი მოიმარჯვა და საკუთარი თვალით იხილა შელამებულზე ჩვენი მიწაფორთხია: მიშიკო როგორ გამოძვრა სპეციალურად აშენებული კომფორტული ბუნკერიდან და დილამდე, ვიდრე ცა გაიხსნებოდა, ვენახში თოხი როგორ უბაყუნა. ოფლში გაღვრილი მამულიშვილი შიგადაშიგ ჩერდებოდა, ვაზს ეფერებოდა და აცრემლებული შეღაღადებდა: აქ რამ მოგიყვანა, შე დალოცვილო, შენაო?!

ერთი სიტყვით, როგორც ჟურნალისტმა გაარკვია, მიხეილ სააკაშვილი ერთი კი არა, თურმე ორი ყოფილა, რომელ-



„ნამდვილი“ მ. სააკაშვილი



მიშას ორეული

თაგან ერთი უკრაინაშია, ხოლო მეორე — ყვარლის ვენახში... ერთი მიშა ტყუილია, მეორე კი — ნამდვილი. ნამდვილი ვენახშია, ტყუილი — უკრაინაში. ეტყობა, საქართველოს პროკურატურის მუშაკები პრესას არ კითხულობენ, თორემ ტყუილ სააკაშვილს უკრაინაში კი არ გამოეკიდებოდნენ, ნამდვილს ყვარლის ვენახში, საკუთარ მამულში გაბაწრავდნენ და ბოლოს და ბოლოს, სამართალს ხალხის მოთხოვნისამებრ დააპურებდნენ.

უფრო რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა ჰააგის საერთაშორისო სასამართლო, რომელმაც წლების მანძილზე ვერ გამოკვეთა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის რეალური დამნაშავენი. არადა, იმ ომის წამომწყებნი ხომ შეიძლება ნამდვილი სააკაშვილი და ნამდვილი პუტინი კი არა, მათი ორეულები ყოფილიყვნენ? ეტყობა, ევროპული სამართლის კარი მანამდე იქნება ჩარაზული, ვიდრე რომელიმე ქართველი ან უცხოელი ჟურნალისტი არ დადებს გამოკვლევას, რომელშიც ღიად და გამჭვირვალედ იქნება მითითებული აგვისტოს ომის შემოქმედნი, მართლა ნამდვილი პუტინი და ნამდვილი სააკაშვილი იყვნენ თუ — მათი ტყუილი ორეულები?

დაველოდოთ. ღვთის წყალობით ევროატლანტიკურმა ცივილიზაციამ ჩვენ ისეთი ტემპებით გვამოგზაურა, რომ სულ მალე შეიძლება ახალი ომი საქართველოში სულაც სააკაშვილისა და პუტინის სამეულებმა წამოიწყონ!

**ოთარ ხუციშვილი**



# რა გეჩქარებოდათ!

## გომბორის ტრაგედიიდან ორი წლის შემდეგ ექსკურსიების რეგულირებაზე პარლამენტი ახლა მუშაობს!

**ყველას კარგად ახსოვს 2018 წლის 9 ივნისს გომბორის უღელტეხილზე მომხდარი ტრაგედია, რომელსაც 4 ადამიანის, მათ შორის 1 არასრულწლოვნის სიცოცხლე ემსხვერპლა, 21 ადამიანი კი დაშავდა —** იმის მიუხედავად, რომ ორი წლის წინ ამ რეზონანსულმა შემთხვევამ ექსკურსიების გამკაცრების აუცილებლობა დღის წესრიგში დააყენა, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხოლოდ რამდენიმე კვირის წინ დაამტკიცა რეგულაციები, რომლის მიხედვითაც სასკოლო ექსკურსიები უნდა ჩატარდეს.

პრობლემების მთელი ჯაჭვი, რაც უკავშირდება ექსკურსიების ტრაგიკულ დასასრულს, მოიცავს ავტომობილის გაუმართაობას, მძღოლის არაპროფესიონალიზმს, გზების მოუწესრიგებლობას და ა.შ. მაშინ ბევრი ამბობდა, რომ საჭიროა ექსკურსიების აკრძალვაც კი. მიუხედავად ამისა, ორი წლის მანძილზე სკოლების მიერ, ჩვეული უკონტროლო რეჟიმით ტარდებოდა ექსკურსიები და მყისიერი ზომები ამის საწინააღმდეგოდ საზოგადოებას არ უნახავს.

თუმცა, როგორც **იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დავით მათიკაშვილი** „კომერსანტთან“ განმარტავს, საკანონმდებლო და აღმასრულებელი სისტემა აღნიშნულ მძიმე მოცემულობას ექსკურსიებთან დაკავშირებით მყისიერად უმკლავდება.

**„დიდი ხნის წინ იყო კანონპროექტის პირველი მოსმენა. სამწუხაროა, რომ არაერთი უბედური შემთხვევა აღირიცხა ექსკურსიებზე. მეორე მოსმენით, ახლა მივიღეთ კანონი. გეტყვით, რომ გადაწყვეტილება გომბორის ტრაგედიის შემდეგ იყო მყისიერი, ჩვენ გავაკეთებთ მაქსიმუმს, რომ პარლამენტშივე მესამე მოსმენით უკვე მივიღოთ ეს კანონპროექტი. შატილის მოვლენებმა კიდევ უფრო გაუსვა ხაზი საკითხის აქტუალობას.უბედური შემთხვევების სპეციფიკიდან და არსიდან გამომდინარე, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ უზრუნველყვეს გზების 100%-ით დაცვა. ამ კანონპროექტის განხილვაც იმის დასტურია, რომ ჩვენი ქვეყანა მაქსიმალურად ცდილობს, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ დონეზე ამ მძიმე მოცემულობასთან გამკლავებას,“** — ამბობს დეპუტატი.

2021 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება ექსკურსიების ჩატარების განახლებული პროტოკოლი. კანონში ჩნდება ექსკურსიის და ექსკურსიის ხელმძღვანელის ცნება. წესების დარღვევისთვის კი ჯარიმა 200 ლარია.

**„სკოლებსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მეპატრონეებს ექნებათ დრო, რომ სათანადოდ მოემზადონ, რათა კანონის სრული დაცვით მოხდეს ექსკურსიების ჩატარება. ცვლილება შევიდა საგზაო მოძრაობის შესახებ წესებში და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსში.**

**კანონში შემოდის ახალი ცნება, ექსკურსიის სრულწლოვანი ხელმძღვანელი, რომელიც უნდა იყოს საგანმანათლებო დაწესებულების წარმომადგენელი, არა მშობელი, არამედ სკოლამდელი ან სკოლის ასაკის საგანმანათლებო დაწესებულების წარმომადგენელი.**

**მძღოლმა უნდა წარმოადგინოს და თან უნდა იქონიოს ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, რომელიც ექსკურსიის თარიღთან მიმართებაში ბოლო ერთი თვის განამვლობაში უნდა იყოს გაცემული. მძღოლი უნდა იყოს ასევე კვალიფიციური და მას უნდა ჰქონდეს 5-წლიანი გამოცდილება.**

**რაც შეეხება აღსრულებას, წესის დარღვევისთვის — 200 ლარი, ხოლო განმეორებითი დარღვევისთვის 400 ლარია ჯარიმის სახით. აღსრულებას საპატრულო პოლიცია მოახდენს,“** — აღნიშნა დავით მათიკაშვილმა.

ავტოსატრანსპორტო საშუალებას ტექდათვალიერება გავლილი უნდა ჰქონდეს 6 თვის ვადაში. მასში უნდა იყოს ცეცხლჩამქრობი, ასევე სამედიცინო ჩანთა. დაუშვებელია დამატებითი სავარძლების დამატება და თითოეული სავარძელი უნდა იყოს დამჭერით აღჭურვილი.

თუკი, ექსკურსია მოიცავს 500 კმ-ზე მეტ მანძილს, ექსკურსიას თან უნდა ახლდეს სათადარიგო მძღოლი. ამ წესის დაწვრილებით რეგულაცია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მთავრობამ უნდა დაადგინოს 2021 წლის პირველ იანვრამდე.

ღვედების გადაჭერის უზრუნველყოფა არა მძღოლის, არამედ ექსკურსიის სრულწლოვანი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაა. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში ჯარიმდება არა მძღოლი, არამედ ექსკურსიის სრულწლოვანი ხელმძღვანელი.

# სტუმართმასპინძლობაც ასეთი უნდა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში მდებარე ერთ-ერთ ბარში მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების საქმის გამოძიების ფარგლებში მეხუთე პირი დააკავეს.**

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ბრალდებულის სახით დაკავებულია 1983 წელს დაბადებული ლ.ც. დანაშაული 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ბარის ოთხ სხვა თანამშრომელთან ერთად, რომლებიც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უკვე დააკავეს, დაწესებულების სტუმრებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

მომხდარის შედეგად, ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო 1986 წელს დაბადებულმა ორმა პირმა — ი.ფ.-მ და ი.გ.-მ, რომლებსაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწიათ.





◎ ფუი, ეშმაკს!

# ეს წლისთავია „სადღი აზრისა“...



**ვინც გუშინ კალენდარს გადაშლიდა, ისეთ თარიღებს აღმოაჩენდა, გული გაუნათდებოდა.**

მაგალითად, გენიალური ლევ ტოლსტოისა და ოსკაროსანი ჰიუ გრანტის დაბადების დღეებს რომ თავი დავანებოთ, ნახევარსაუკუნოვანი იუბილე შესრულდა პირველი „ჟიგულის“ გამოშვებიდან, მაგრამ არც ესაა **მთავარი** — 9 სექტემბერი, თურმე, სილამაზის საერთაშორისო დღეც ყოფილა!

ყველაფერს ერთად გილოცავთ!

მაგრამ, ხომ იცით, ეშმაკს არ სძინავს. დიახ, ხაზგასმით გამოვყავით სიტყვა მთავარი და, ბედი არ გინდა, გუშინ ტელე (ვაი) კომპანია „მთავარის“ წლისთავიც ყოფილა.

გისამძიმრებთ და ვიზიარებთ თქვენს ღრმა მწუხარებას!

თუმცა, რატომ? ვინაიდან საზეიმო განწყობის შექმნას ვცდილობთ, მოდით, შევინარჩუნოთ ეს პათოსი და განვაგრძოთ „ვ ტომ ჟე დუხე“.

**გილოცავთ ყველას,** ვისაც უკრაინაში გადახვეწილი ფიურერის, მისი კუდების — გვარამიას, გაბუნიას, კვესიტაძის, კილაძის, კაპანაძისა და მათი წვრილფეხობის, იგივე „ლამაზისეულთა“ ლამაზად შეფუთული, საინფარქტო ამბებზე აგებული გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი სიკვდილის ქრონიკები მოგწონთ.

**გილოცავთ ყველას,** ვისთვისაც ძვირფასია სხვათა უბედურებაზე დაფუძნებული საკუთარი ბედნიერება.

**გილოცავთ ყველას,** ვისაც სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი თავისი კეთილდღეობის წყაროდ მიაჩნია.

**გილოცავთ ყველას,** ვინც სხვის ჯიბეში ხელების ფათურით მორალურ დოპინგს იღებს და სხვისი გაკეთებული სიკეთე გულზე ლახვრად ესობა.

დაგვეთანხმებით, ეს ჩამონათვალი უსასრულოდ შეგვიძლია გავაგრძელოთ, მაგრამ დღეს ეს ვიკმაროთ.

მოგეხსენებათ, ცრურწმენათა მიმდევრები ბავშვს ერთი წლის შესრულებას არ ულოცავენ, ჰოდა, ჩვენც გავითვალისწინოთ ძნელადაღსაზრდელი „ნორჩის“ ასაკი და უფრო ძირფესვიანად გუნდრუკის კმევა სამომავლოდ გადავდოთ.

მე თქვენ გეტყვით, გათეთრდების ყორანი თუ?!

მოკლედ, „ტაკ დერჟატ“, ზონდერკოლეგებო!

**გია პლატონიშვილი**

◎ ვარსკვლავი

# ეს უკვე დონეა!..



**მნიშვნელოვანი შენაძენით ებმება ახალ სეზონში საქართველოს მოქმედი ჩემპიონი თბილისის „დინამო“, რომელშიც 27 წლის სერბი მსოფლიოს თასის მფლობელი დუშან ვასიჩი ითამაშებს.**

— მალე ეს აღიარებული ბომბარდირი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებს და ერთ წელიწადში „ჯვაროსანთა“ სპორტული ღირსების დაცვაც შეეძლება — ოპტიმისტურადაა განწყობილი „თეთრ-ლურჯთა“ კლუბის პრეზიდენტი **გიორგი ხვედელიანი.**

მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ აგრესიული მარცხენა შემტევის კარიერას, წარმატების მოპოვების იმედი საერთაშორისო სარბიელზე ნამდვილად შეგვიძლია გვქონდეს: **სამშობლოში** — „ვოივოდინა“, „ცრვენა ზვეზდა“ და „შაბაცი“, **იტალიაში** — „ფლორენცია“, **საბერძნეთში** — „პანათინაიკოსი“ და „ვულიაგმენი“; **ხორვატეთში** — „იადრან სპლიტი“ — ეს ის წამყვანი ევროპული გუნდებია, სადაც მან ომახიანი სიტყვა თქვა და დამსახურებული ავტორიტეტი მოიხვეჭა.

ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის მწვერვალად 2014 წელი ითვლება, როცა ალმათიში მსოფლიოს თასი მოიგო.

რაც შეეხება კორონავირუსის გაჭიანურებული პანდემიის გამო მნიშვნელოვნად კორექტირებული ახალი სეზონის კონტურებს, ოქტომბრის დასაწყისში ახალი ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება, რასაც ჩემპიონთა ლიგის შეხვედრები მოჰყვება.

ისინი ძველებურად — შინ და გარეთ, ალბათ, აღარ გაიმართება და უსაფრთხოების მიზნით, სავარაუდოდ, ნაკლებად რისკიან ქალაქებში ჯგუფური რაუნდების სისტემით მოეწყობა.

იმასაც გაუწყებთ, რომ წლეულს ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში 16-ის ნაცვლად 12 ელიტური გუნდი გამოვა და თითოეულს 10-10 მატჩი ელის, ხოლო წილისყრა ორ კვირაშია დაგეგმილი და ფორმატიც მაშინ დაზუსტდება.

**ბეჟან დოლიძე**

# ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა - უწიგნებოდ

**ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დირექციის გადაწყვეტილებით, წელს პავილიონებში წიგნები არ გამოიფინება. ამის მიზეზი გერმანიაში არსებული ეპიდსიტუაცია დაკორონავირუსის გავრცელების მაღალი რისკებია. მსოფლიოს უმსხვილესი წიგნის ბაზრობის ყველა პავილიონი დახურული იქნება ერთი გამონაკლისით, რომელშიც გერმანიის ტელევიზიის პირველი არხის სტუდია განთავსდება.**

საავტორო პრეზენტაციები და ინტერვიუ მწერლებთან პირდაპირ ეთერში გადაიცემა, თუმცა, ამ ღონისძიებებზე დამსწრე მაყურებლების რაოდენობა მცირე იქნება და პრევენციული ზომები უმკაცრესად იქნება დაცული.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა 14-18 ოქტომბერს ჩატარდება.



# დაზუსტება

**ჩვენი გაზეთის 8-9 სექტემბრის (სამშაბათ-ოთხშაბათის) ნომრის მე-3-მე-5 გვერდებზე დაბეჭდილი კოლექტიური წერილის „გულანთებული პატრიოტი და სამშობლოს ერთგული მსახური“ მესამე სვეტის პირველი აბზაცის ბოლოდან მე-8-მე-6 სტრიქონები უნდა იკითხებოდეს ასე: სპარტაკიადის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო მაშინდელმა ვიცე-პრემიერმა ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა, შემდეგ როგორც ტექსტშია.**


# მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზბულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 12 სექტემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.0890; ევრო - 3.6429;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0277;
100 რუბლი - 4.0447; თურქული ლირა - 0.4126;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8183;
1000 სომხური დრამი - 6.3216.

**ამინდი 10 სექტემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე | +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე | +29 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +16, | დღე | +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +12, | დღე | +30 |
| თბილისი: | ღამე | +19, | დღე | +31 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge